ახალი სამხედრო ბაწევა და ახალი გამოწვევები A2

იაპონია სარაკეტო თავდაცვას აძლიერებს A5

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 5 მაისი, 2003 წელი. №121 (333)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ხავსი, რომელიც არასამთავრობოთა ნაწილმა გადაუგდო ხელისუფლებას

საკმაოდ ადვილია, უმტკიცო მოსახლეობას, რომ ქვეყნის უბედურების სათავე სწორედ პარლამენტართა რაოდენობაა და არა ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც პარლამენტზე ბევრად მრავალრიცხოვანი პრეზიდენტის კანცელარია იღებს.

A3

## ეკონომიკა

### საქართველო კვლავ იმპორტულ ენერგორესურსებზეა დამოკიდებული

ენერგოკრიზისის გამო საქართველო კვლავ იმპორტულ ენერგორესურსებზეა დამოკიდებული, რაც ძირითადად რუსეთიდან და სომხეთიდან შემოდის.

A4

## უცხოეთი

### ჟურნალისტებმა ქოჩარიანი "პრესის მტრად" გამოაცხადეს

სომეხ ჟურნალისტთა ერთ-ერთმა ასოციაციამ პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი "პრესის მტრად" წელს უკვე მეორედ დაასახელა. ამერიკული უფლებადამცველი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში სომხეთმა პრესის თავისუფლების მიხედვით, 68-ე ადგილი დაიკავა.

A5

## საზოგადოება

### პირველი საერთაშორისო გამოფენა

*21-ე საუკუნე საინფორმაციო-ტექნოლოგიური რევოლუციების საუკუნეა. უცხოეთთან კავშირების გაღრმავებას, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა უახლესი ინოვაციების მოზიდვას დღეს საქართველოსათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც, თავის დროზე წერა-კითხვის გავრცელებას.*

A8

## სამართალი

### თამარაშენში სიტუაცია კვლავ დაძაბულია

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ თამარაშენში სიმონ მინდიაშვილისა და მისი სამი ვაჟის მკვლელობის ფაქტის გამო უშიშროების, პოლიციისა და შერეული სამშვიდობო ძალები ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიდნენ. ჩაკეტილია როკის გვირაბისკენ მიმავალი საავტომობილო გზა და მკაცრად კონტროლდება ტრანსპორტი.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | |
| ქუთაისი | 27 | |
| ბათუმი | 22 | |
| სოხუმი | 24 | |
| ფოთი | 24 | |
| თელავი | 22 | |
| ზუგდიდი | 27 | |
| გორი | 22 | |
| ახმეტა | 23 | |
| ჭიათურა | 25 | |
| გაგრა | 22 | |
| სამტრედია | 26 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.4293 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4835 |
| რუბლი | 0.0696 |

# დედაქალაქის დასაცავად სააკაშვილი კანცელარიასთან გამოჩნდება



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტს კაცური დიალოგისკენ მოუწოდებს.*

სოფო ბუკია

**"აღმაშენებლის ადგილი ისტორიაში უკვე დაკავებულია, მავნებლის ადგილისთვის შევარდნაძე იბრძვის, არ ვურჩევ ამის გაკეთებას,"** – იმ იმედით, რომ პრეზიდენტს ძალიან უყვარს ტელევიზორის ყურება და, მით უმეტეს, უქმე დღეს იგი ცისფერი ეკრანის ცქერაში დაალამებს, სააკაშვილმა კვირას სპეციალური, "პრეზიდენტისთვის გასაგონი" პრესკონფერენცია გამართა, სადაც შევარდნაძეს მოუწოდა: **"თავი დაანებოს მავნებლობასა"** და **"თბილისელებისთვის პრობლემების შექმნას".**

გაგრძელება A2 გვერდზე

## თქვენი შეცდომის "ცენტრპოინტი"

### ღია წერილი ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს

გოკა გაბაშვილი

კედლისთვის ცერცვის შეყრა არ არის ჩემი საყვარელი საქმიანობა და არც მაქვს იმედი, რომ თქვენ, ამ წერილის უშუალო ადრესატი, რამეს გაიგებთ და გაიზიარებთ. მაგრამ მაინც, იქნებ ვინმეს თქვენს კომპანიაში - "ახალი საქართველოსთვის" კიდევ შერჩა გონიერებისა და სინდისის მარცვლები და იქნებ ვინმე მაინც თქვენს საკანცელარიო გარემოცვაში მიხვდეს, რა ქარს თესავთ და რა ქარიშხალი შეიძლება მოიმკათ.

როცა თქვენ ღიად, მთელი ქვეყნის გასაგონად ბრძანებთ, რომ "შეწყდეს სომხების ბოგინი საქართველოში" - თქვენ მშვენივრად გესმით, რასაც ეთამაშებით. თქვენ გესმით, რომ აღვივებთ ცეცხლს, რომელმაც შეიძლება გადაწვას ახალგაზრდა და სუსტი ქართული სახელმწიფოს შენობა. მაგრამ ეს თქვენთვის სულერთია. ეს შენობა თქვენთვის სულერთი იყო ყოველთვის. სულერთი იყო მაშინაც, როცა უბრალო საბჭოთა ფუნქციონერი "მტრული დასავლური" რადიოსადგურების მავნე ზეგავლენას ებრძოდით; მაშინაც, როცა, როგორც ამბობენ, გროშებად იჯიბავდით საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებს, მაშინაც, როცა საქართველოს "უმცროსი ძმის" კომპლექსის დასამკვიდრებლად ხელმოწერებს აგროვებდით და სულერთია დღესაც, როცა თქვენს თანაბლოკელებთან ერთად ხავსს ეჭიდებით და მზად ხართ, ანგრიოთ მომავალი ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტები.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პატიმართა აქცია, სულ უფრო საშიშ სახეს იღებს

*საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 30 აპრილს დაწყებული პატიმართა საპროტესტო აქცია - შიმშილობა - დღემდე გრძელდება. პატიმართა უპრეცედენტო აქცია ქუთაისის მეორე საპყრობილედან დაიწყო, რასაც იმავე დღეს დანარჩენ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებშიც დაუჭირეს მხარი. აქედან გამომდინარე, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ შიმშილობა წინასწარ ორგანიზებული და კარგად დაგეგმილი იყო.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

გავრცელებული ინფორმაციით, აქციის დაწყებას წინ, "კანონიერი ქურდების" შეკრება ე.წ. "სხადნიაკი" უძღოდა. ქუთაისის საპყრობილეში ამჟამად ორი კანონიერი ქურდი გია ზვიადაძე და გრიგოლ ჩიხლაძე, მეტსახლად "ჩიბუხა" იმყოფება. ზვიადაძეც და "ჩიბუხაც" თავს უდანაშაულოდ და უკანონო პატიმრებად თვლიან. საგამოძიებო მასალების მიხედვით, გია ზვიადაძე ქუთაისის საოლქო სასამართლოს ორი მოსამართლის ცემაშია ეჭვმიტანილი, მისი სასამართლო პროცესი ამჟამად ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს. "ჩიბუხას" კი "ქურდებისთვის" ტრადიციული მუხლი: ნარკოტიკების შენახვა-მოხმარება აქვს წაყენებული. არსებობს ინფორმაცია, რომ შიმშილობა სწორედ დასახელებულმა "ქურდებმა" დაგეგმეს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება, გარეთ მყოფ "ავტორიტეტებთან" ერთად, ზემოთნახსენებ "სხადნიაკზე" მიიღეს. ჩვენი ინფორმაციით, პატიმართა აქცია 25 აპ-

გაგრძელება A8 გვერდზე

## ბადრი ჯაფარიძე: „ბერეზოვსკის ბორჯომი არ უყიდია"

### შესაძლოა, მხოლოდ ჭერჭერობით

*"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" (GG&MW) აქციები ბორის ბერეზოვსკის არ შეუძენია. მართალია, ბოლო დროს კომპანიის აქციონერთა შორის ცვლილებები მოხდა - ზოგმა აქციათა კუთვნილი პაკეტი გაამსხვილა, ზოგმა კი გაყიდა, მაგრამ არსებითი ცვლილება კომპანიის აქციონერთა სტრუქტურაში არ მომხდარა. და, საერთოდ, ეს აქციონერთა შორის განსახილველი საკითხია," – განაცხადა GG&MW-ს ვიცე-პრეზიდენტმა ბადრი ჯაფარიძემ. ერთადერთი მოსალოდნელი ცვლილება, რომელზეც ჯაფარიძე საუბრობს, მინერალურ წყალ "მირგოროდსკაიას" მწარმოებელ უკრაინულ კომპანია IDS-თან ალიანსის შექმნაა. თუმცა ამ შემთხვევაშიც საუბარია არა ქართული და უკრაინული კომპანიების შერწყმაზე, არამედ მხოლოდ მათი სადისტრიბუციო ქსელების გაერთიანებაზე. ამ გაერთიანების შესახებ კომპანიები მაისში განაცხადებენ.*

გვანცა კვინიკაძე

იმ მეწილეებს შორის, რომლებმაც GG&MW-ს აქციონერთა რიგები დატოვეს, "24 საათის" ინფორმაციით, არიან საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და კომპანია Baring Vostok Partners. თუმცა, IFC-თან და კომპანიის ძველ კრედიტორთან – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნებას GG&MW კვლავაც აპირებს. კომპანიაში მომხდარი ცვლილებებისა და მისი სამომავლო გეგმების შესახებ საერთაშორისო და ქართულ პრესაში გასულ

გაგრძელება A6 გვერდზე

## მწირბიუჯეტიანი ქვეყნის პრეზიდენტის ხელგაშლილობა

ლენა მიქაძე

*2002 წელს პარლამენტმა ედუარდ შევარდნაძეს პრეზიდენტის ფონდის ათი მილიონი ლარით გადახარჯვა "გაუპრავა". ამ მანიპულაციის შესახებ "24 საათი" ჯერ კიდევ მაშინ წერდა, როცა ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში საამისოდ პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთგული წარმომადგენლები მხოლოდ ემზადებოდნენ. ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის, ვინც ამ ფაქტს მაშინ წაუყრუა, კონტროლის პალატის შეფიც აღმოჩნდა...*

2002 წლის 25 დეკემბერს "დემოკრატების" ლიდერმა გიორგი ბარამიძემ სულხან მოლაშვილს წერილი გაუგზავნა. წერილში დეპუტატი კონტროლის პალატის უფროსისგან **"სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის და ეფექტიანობის კუთხით",** 2002 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შეფასებას ითხოვდა.

კონკრეტულად: პრეზიდენტის სარეზერვო და სახელმწიფო ფონდების, სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯის გაზრდის, თბილისის მერიისთვის საბიუჯეტო სესხის გამოყოფის და სხვა თვალსაზრისით.

კონტროლის პალატის თავმჯდომარემ საპასუხო წერილი ფრაქციის ლიდერს იანვრის შუა რიცხვებში გაუგზავნა. მოლაშვილმა ფარად კონსტიტუცია და კონტროლის პალატის რეგლამენტი აიფარა. **"მიუხედავად ჩვენი სურვილისა, საქართველოს კონტროლის პალატა, კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას, მოგაწოდოთ ინფორმაცია 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას 2002 წლის ბიუჯეტის**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ახალი ფერარის პირველი ტრიუმფი

B5



*შუმახერის პირველი ტრიუმფი ახალი ბოლიდით*

## ვალერია ნოვოდვორსკაია: "დიახ, პუტინი ბერეზოვსკის პროექტია"

*ვალერია ნოვოდვორსკაია ერთი წლის წინათ გახდა "ლიბერალნაია როსიას" წევრი და, როგორც მოსკოვში ამბობენ, ამ პარტიის ერთ-ერთ სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ბორის ბერეზოვსკის პოლიტიკური მანიფესტიც დაუწერა. თავად ნოვოდვორსკაია ამაზე დუმილს ამჯობინებს. თავის დროზე ქალბატონ ნოვოდვორსკაიას რამდენიმე ქარიზმატული ფავორიტი ჰყავდა; მაგალითად - ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია. ვალერია ნოვოდვორსკაია მუდამ კრემლისა და ლუბიანკის აქტიური ოპონენტი იყო. ჩვენი ინტერვიუს გმირი დღეს უცხოელ ჟურნალისტებში მეტად პოპულარული პერსონაჟია - იგი თამამად და მოურიდებლად აკრიტიკებს ვლადიმირ პუტინს, უფრო მეტიც, მას "ფაშისტს" უწოდებს და ბოლო პერიოდის პოლიტიკურ მკვლელობებში ადანაშაულებს.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**- დღეს სერგეი იუშენკოვისა და გალინა სტაროვოიტოვას მკვლელობაზე იმდენი ვერსია გაავრცელეს, რომ საქმეში ჩაუხედავი კაცი დაიბნევა. რომელ ვერსიას იზიარებთ პირადად თქვენ - პოლიტიკურს თუ ეკონომიკურს?**

- სერგეი იუშენკოვის მკვლელობის ვერსია ერთია: ესაა კრემლი, ესაა ლუბიანკა, ესაა პუტინი. ჩვენი პოლიტიკური პოზიცია გალინა სტაროვოიტოვას მკვლელობიდან არ შეცვლილა. რუსი ოპოზიციონერების მკვლელობები - ესაა კრემლის მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა. სერგეისაც პუტინმა დახვრეტა მიუსაჯა. სერგეის არ ჰქონდა ფული,

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6-A7 "საოჯახო ტოტო" A8 საზოგადოება A8 სამართალი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# მზადდება საფუძველი რუსული სცენარით არძინბას შესაცვლელად

თამარ ხორბალაძე

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ვლადისლავ არძინბას "უმტკივნეულოდ ჩანაცვლებისთვის" საფუძველი თითქმის მომზადებულია. აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ორი წლის შემდეგ უნდა გაიმართოს, მაგრამ, თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, რომ აფხაზურმა ოპოზიციამ ვადამდელი არჩევნების საკითხის „გატანაც" მოახერხოს.

ვლადისლავ არძინბამ ჩათრევას ნაწილობრივად ჩაყოლა რომ ამჯობინა, ამის პირველი ნიშანი ჯერ კიდევ 22 აპრილს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურის წამოყენება გახლდათ.

მართალია, რაულ ხაჯიმბას კანდიდატურა, თბილისთან ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიახლეების მოლოდინს არ აღძრავს, თუმცა იგი ოპოზიციისთვის, კერძოდ "ამცახარასთვის" (აფხაზ ვეტერანთა კავშირი, რომლის ლიდერად ყოფილი პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია მოიაზრება), ცალსახად მისაღები გახლდათ.

"ამცახარამ" აღნიშნულთან დაკავშირებით გასული კვირის დასასრულს სპეციალური განცხადებაც გააკეთა და აქციების მოწყობაზე მორატორიუმი გამოაცხადა.

"საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" თანათავმჯდომარის და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გარი სამანბას განცხადებით, **"ამცახარა" პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე პრეზიდენტ არძინბას არჩევანს იწონებს და მხარს უჭერს",** რის გამოც ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ საჯარო განცხადებების გაკეთებისგან და ღონისძიებების ჩატარებისგან თავს შეიკავებს.

თუმცა, "ამცახარას" მიერ ასეთი შემრიგებლური პოზიციის დაკავების მთავარი მიზეზი მხოლოდ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა არ გამხდარა.

გასულ კვირას, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა გადადგა ნაბიჯი, რომელიც რუსეთის ინტერესების განხორციელების კონტექსტში ეწერება. გასული კვირის მიწურულს, პარასკევს, აფხაზეთის სახალხო კრებამ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც კონსტიტუციურ ცვლილებებს ითვალისწინებს და ქვეყნის პრეზიდენტობის უფლებას იმ პირებს აძლევს, რომლებსაც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე აფხაზეთში არ უცხოვრიათ.

ეს გადაწყვეტილება აფხაზური ოპოზიციისა და რუსეთისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ვერც ერთი საპრეზიდენტო კანდიდატურა, რომელსაც, ზოგადად, აფხაზი ოპოზიციონერები და, კონკრეტულად კი რუსეთი, ვლადისლავ არძინბას შემცვლელად მოიაზრებს, აფხაზეთში 10 წლის მანძილზე ცხოვრების მოთხოვნას არ აკმაყოფილებს.

მაგალითად, არსებული ინფორმაციით, მოსკოვი არძინბას შესაძლო შემცვლელებად ექსპრემიერ ანრი ჯერგენიასა და ყოფილ შს მინისტრს ალიკ ანქვაბს განიხილავს. ექსპრემიერი ჯერგენია უკვე რუსეთის მოქალაქეა და, ამას გარდა, იგი აფხაზეთში ცხოვრების ათწლიან ცენზს ვერ აკმაყოფილებს. რაც შეეხება ყოფილ შს მინისტრს ალიკ ანქვაბს, ის დღემდე აფხაზეთის მოქალაქეა, თუმცა უკვე ათი წელია, მოსკოვში ცხოვრობს.

აღნიშნული კანონპროექტის მიუღებლობის შემთხვევაში, აფხაზთა პრეზიდენტობაზე პრეტენზიას ვერც პრორუსული და ვერც თურქეთსა თუ ამერიკაში მცხოვრები აფხაზები ვერ განაცხადებდნენ. ეს კი საპრეზიდენტო სკამისკენ თავისთავად არძინბას კლანის წარმომადგენელს უხსნიდა გზას, რადგან დღეს აფხაზეთში არც ერთი სერიოზული პრეტენზიის მქონე კლანის წარმომადგენელი მუდმივად არ ცხოვრობს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარა" და აფხაზეთის ეროვნული თანხმობის ფორუმში გაერთიანებული 30-მდე ორგანიზაცია მოქმედ კანონმდებლობაში და კონსტიტუციაში აღნიშნული ცვლილებების შეტანას მიმდინარე წლის 20 მარტიდან, ანუ "ამცახარას" მე-3 ყრილობის შემდეგ, ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა.

საინტერესოა, რომ ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის, პრეზიდენტის არჩევის და დეპუტატის არჩევის შესახებ კანონებში შესატანი ცვლილებების კანონპროექტები პარლამენტის იურიდიული კომიტეტის და "ამცახარას" თავმჯდომარემ ვლადიმერ ნაჩაჩ-ოღლიმ გაიტანა.

პრეზიდენტ არძინბას საპარლამენტო მდივნის მარინა ფილიას წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც პარლამენტარებს მათი მოთხოვნების განხილვას საერთოსახალხო რეფერენდუმის საშუალებით სთავაზობდა, აფხაზურმა პარლამენტმა პირველი მოსმენით და სახელობითი კენჭისყრით ვლადიმერ ნაჩაჩ-ოღლის მიერ მომზადებული კანონპროექტები მაინც მიიღო.

ოპოზიციამ საკონსტიტუციო ცვლილებების აფხაზეთის სახალხო კრებაზე გატანა არძინბას ნების საწინააღმდეგოდ შეძლო, რაც იმას ნიშნავს, რომ სურვილისა და მონდომების შემთხვევაში, შესაძლოა, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნაც არ გამოირიცხოს.

რაც შეეხება ყველაფერ აღნიშნულთან თბილისის დამოკიდებულებას, მოლოდინი იმისა, რომ არძინბას შეცვლა აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების თვალსაზრისით "გარღვევას" მოიტანს, აშკარა გულუბრყვილობაა. ამ მიმართებით, საქართველოს მოსახლეობას უფრო მეტად საქართველოს ხელისუფლების შემადგენლობა უნდა აღელვებდეს.

# ახალი სამხედრო გაწვევა და ახალი გამოწვევები

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*როგორც წესი, აპრილის ბოლოს საქართველოში საგაზაფხულო სამხედრო გაწვევის კამპანია იწყება ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მაისია, საქართველოს პრეზიდენტი არ ჩქარობს, ხელი მოაწეროს შესაბამის ბრძანებულებას და ამგვარ პაუზას თავისი მიზეზები აქვს: წლევანდელი გაწვევა ხომ პირველი იქნება, რომელსაც გაუქმებული და მოსახლეობის თვალში ბოლომდე დისკრედიტებული სამხედრო კომისარიატების ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ჩაატარებენ. შესაბამისად, თუ კარგად არ დაიგეგმა მოქმედების პროგრამა და არ მოხდა ხელისუფლების ყველა რგოლის კოორდინება, დიდია რისკი, რომ ახალმა სტრუქტურამ დებიუტშივე გაიმეოროს წინამორბედის შეცდომები და შეიარაღებული ძალები კვლავ შევსების გარეშე დარჩნენ.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

სამხედრო კომისარიატები ამაოდ ელოდებიან წვევამდელებს.

ხელისუფლება საქართველოში საკუთარ ადმინისტრაციულ უძლურებას, მეტწილად, გაუმართავი კანონებით ნიღბავს.

შარშან საშემოდგომო გაწვევა ჩაიშალა (შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული 10 780 კაცის ნაცვლად სამხედრო ძალებში მხოლოდ 5000 -ის გაწვევა მოხერხდა). საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ეს ფაქტი დივერსიად შეაფასა და მისი შესწავლა გენერალურ პროკურატურას დაავალა.

**"ისინი - ეს იქნებიან კომისარიატის, ადგილობრივი მმართველობის თუ სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები - უნდა დაისაჯონ. რაც მათ ჩაიდინეს, ეს იყო ქვეყნის ღალატი, სახელმწიფო ინტერესების ღალატი,"** - ამბობდა ირაკლი ბათიაშვილი.

ამ განცხადების შემდეგ გავიდა ზუსტად სამი თვე, მაგრამ ბათიაშვილი იძულებულია, აღიაროს, რომ გაწვევის ჩაშლის გამო არც ერთი თანამდებობის პირის - სამხედო კომისრის, პოლიციის უფროსისა თუ ქალაქის გამგებლის - პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. კიდევ უფრო უცნაურად მოიქცა საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც გაწვევაზე პასუხისმგებელი მთავარი უწყების - გენერალური შტაბის საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი წანახალისა და მას უმაღლესი ოფიცრის - ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭა.

ასეთ ფონზე, ბუნებრივია, ჭირს იმის განჭვრეტა, თუ რა მოხდება საგაზაფხულო გაწვევის დროს, ანუ მას შემდეგ, რაც არმიის დაკომპლექტების მკაცრად ცენტრალიზებული სტუქტურა აღარ იარსებებს და გაწვევის მთელი სიმძიმე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარმოქმნილ სამოქალაქო სტრუქტურებს დაეკისრებათ.

სამხედრო კომისარიატების ბაზაზე აღმოცენებული სამოქალაქო გამწვევი ორგანოები მთლიანად რომ არ მოწყდნენ პრეზიდენტის ვერტიკალს, გადაწყდა - მათ ზოგად კოორდინაციას კანცელარიის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე განახორციელებს. უშუალო პასუხისმგებელი სამხედრო ძალების დაკომპლექტებაზე კი რაიონის გამგებლები იქნებიან.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო კომისარიატების გაუქმება და მათი ფუნქციების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაცემა, მმართველობის დეცენტრალიზებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია და მოსახლეობის თვალში კიდევ უფრო ამაღლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლს.

მაგრამ, მთავარი ის ხომ არ არის, თუ ვინ მიიტანს უწყების ფურცელს წვევამდელის ბინაზე? მთავარია ის, თუ რამდენად არის მოტივირებული გამწვევ ორგანოში დასაქმებული მუშაკი, რათა მან ყველა მოსალოდნელ ცდუნებას გაუძლოს.

ეს ცდუნებები კი წელს ისე დიდი იქნება, როგორც არასდროს. სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული მართვის სამსახურმა მოამზადა პროექტი სამხედრო ვალდებულების კანონში ცვლელებების შესახებ, რაც გადავადების არსებულ შეღავათებს, გარდა ინვალიდებისა და დედისერთებისა, ყველა კატეგორიის წვევამდელებს უუქმებს. ამასთან, წარმოდგენილი ცვლილებით, თუკი მას პარლამენტიც დაუჭერს მხარს, გადავადების ყოველწლიური მოსაკრებლის თანხა 200 ლარიდან 600 ლარამდე იზრდება. ეს კი ავტომატურად ნიშნავს, რომ გასაწვევი ადამიანების რესურსი საქართველოში დაახლოებით 100 ათასს გადააჭარბებს, მაშინ როცა მთელი სამხედრო ძალების წლიური მოთხოვნილება 15 ათას ჯარისკაცს არ აღემატება.

დანარჩენები, წესით, მოსაკრებლის პოტენციურ გადამხდელებში უნდა გვეგულისხმა, რომ არა ერთი გარემოება. შარშანდელი ორი გაწვევის შედეგებმა ცხადყო, რომ მოსაკრებლის სამჯერ ნაკლები თანხის - 200 ლარის გადახდის სურვილი საქართველოში მხოლოდ 2200 წვევამდელს აღმოაჩნდა. დანარჩენებთან კი, როგორც სამხედრო ექსპერტი სოსო ბარნაბიშვილი ვარაუდობს, სამხედრო კომისარიატის მუშაკებმა მაინც გამონახეს საერთო ენა და თანხა, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში უნდა წასულიყო, კონკრეტული მოხელეების ჯიბეებში მოხვდა.

**"არავინ იმის ანალიზი არ გააკეთა, თუ რატომ არ შესრულდა კანონის მოთხოვნები. მე მეტსაც გეტყვით: არა 16 მილიონი, არამედ ოთხჯერ უფრო მეტი თანხა უნდა შემოსულიყო ბიუჯეტში, ამ სისტემის სწორი ადმინისტრირებით და სწორი აწყობით,"** - აცხადებს ბარნაბიშვილი.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო ექსპერტებისა და ჯარისკაცთა უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ცვლილების ის პუნქტი, რომელიც სამხედრო სამსახურიდან უფასო გადავადების უფლებას დედისერთა და ერთშვილიან წვევამდელებს ართმევს. იურისტი ლევან ალაფიშვილი, რომელიც სამხედრო ვალდებულების შესახებ ძველი კანონის ერთ-ერთი თანაავტორია, მიიჩნევს, რომ წვევამდელთა ამ კატეგორიისთვის შეღავათის მოხსნა ხელისუფლების არაჰუმანურობაზე მეტყველებს.

**"სამხედრო სამსახური ნებისმიერ ქვეყანაში განიხილება, როგორც ჭარბი რისკის მქონე სამსახური და, შესაბამისად, იმ ოჯახების ინტერესების გათვალისწინებით და გნებავთ დაცვის მიზნით, რომლებსაც, სამწუხაროდ, არ ჰყავთ სხვა მემკვიდრე აღმავალი ხაზით, მხედველობაში მყავს ვაჟი, გათვალისწინებული იქნა ეს ყველაფერი და მივიღეთ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1996 წელს, რომ დედისერთები გაგვეთავისუფლებინა სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდისაგან,"** - თქვა ჩვენთან საუბარში ალაფიშვილმა

გარდა ამისა, როგორც ვთქვით, გასაწვევი რესურსი საქართველოში 100 ათას, გაწვევის გეგმა კი მხოლოდ 10 ათასს კაცს შეადგენს. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, რომ გაწვევა შეეხოს დედისერთებისა და ერთი მცირეწლოვანი შვილის მამების კონტიგენტს, რომელთა საერთო რიცხვი 5000 არ აღემატება.

თუმცა, სხვაგვარად ფიქრობს თავად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული მართვისა და პოლიტიკის სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ცვლილებები კონსტიტუციის წინაშე გაათანაბრებს სამხედრო ვალდებულების მქონე მოქალაქეებს, ხოლო მკაცრი ადმინისტრირებითა და საჯარიმო თანხის გაზრდით, გამწვევი ორგანოები შეძლებენ არმიის აუცილებელი ადამიანური რესურსით დაკომპლექტებას.

**"ადმინისტრირების გამკაცრება ასევე ითვალისწინებს იმასაც, რომ სამსახურში არ უნდა მიიღონ წვევამდელი, რომელსაც დოკუმენტაცია არ აქვს წესრიგში მოყვანილი; ასევე არ უნდა მოხდეს პირადობის მოწმობისა და პასპორტის გაცემა იმ წვევამდელებზე, რომლებსაც მიწერის საბუთები არ გააჩნიათ. მით უფრო დაუშვებელია, მათ მიეცეთ სახელმწიფო საზღვარზე გადასვლის უფლება. ჩვენი ინფორმაციით, 19 ათასი წვევამდელი გასულია საქართველოდან. ეს არის ის შემაფერხებელი მომენტები, რის გამოც იძულებულნი გავხდით, ახალი რესურსი გვეძებნა,"** - დარწმუნებულია ბოჭორიძე.

ამ რესურსში, ანუ გასაწვევ კონტიგენტში არ შევლენ "ახალი ქართველებისა" და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა ნაშიერები, რომლებსაც უფლება ექნებათ, ერთჯერადი 2000 ლარიანი გადასახადით, საერთოდ დაიხსნან თავი სამხედრო ვალდებულებიდან. მაგრამ, წარმოდგენილი ცვლილებების გარდა, საკანონმდებლო პაკეტში კიდევ ერთი მუხლის შეტანა იგეგმება, რომლის ავტორი პარლამენტარი, ირაკლი ბათიაშვილია. კანონის ახალი რედაქცია საბოლოოდ გადაუღობავს გზას არჩევითი თუ დანიშვნითი სახელმწიფო თანამდებობისკენ იმ მამრობითი სქესის მოქალაქეებს, რომლებსაც გავლილი არ ექნებათ სავალდებულო სამხედრო სამსახური.

ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ კანონს მიღება და შემდგომ აღსრულება ეღირსება

# „კასტელი-საქართველო" მთავრობის რისხვას გადაურჩა

*საგადასახადო ინსპექცია "კასტელი-საქართველოს" ანგარიშს არ დაუყადაღებს. იასე ზაუტაშვილის უწყებამ ეს გადაწყვეტილება გუშინ საღამოს მიიღო, როდესაც მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას "კასტელი-საქართველოს" ერთ-ერთი მენეჯერი ტელეფონით დაუკავშირდა და საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის სურვილი გამოთქვა.*

მაია ურუშაძე

[illegible]

# შარაძემ იელოველთა კონგრესი ჩაშალა

ვასილ გელეური

[illegible]

... იელოველების აგრესიული, ქრთამით სასამართლოში რეგისტრირებული ორი ორგანიზაცია - "იელოვას მოწმეთა კავშირი" და "პენსილვანიის საგუშაგო კოშკი" - გაუქმდა. საქართველოში მოწყობილი ყოველი კონგრესი, ყოველი შეკრება არის უკანონო და პოლიციას უფლება აქვს, დაშალოს."**

გურამ შარაძემ იელოველებს დეზერტირობის და სიკვდილის მქადაგებლები უწოდა და ერთ-ერთი კონკრეტული ფაქტიც დაასახელა, როდესაც საჩხერეში იელოველმა ცოლმა მართლმადიდებელი ქმარი ნაჯახით მოკლა.

[illegible]

საბოლოოდ, იელოველთა კონგრესი არ გაიმართა. როგორც შარაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ეს აბსოლუტურად კანონიერია. **"იელოველებს ებრძვიან საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში, საბერძნეთში... ეს არის დამყარებული სასამართლოს განჩინებაზე, ჩვენს კონსტიტუციაზე. ჩვენ აგრესიულ სექტებს საქართველოში არ ვაბოგინებთ!"** იმ შენობას კი, სადაც იელოველები იკრიბებოდნენ და "ეშმაკები დაეპატრონნენ", როგორც შარაძე ამბობს, სოფლის მოსახლეობა სასამართლოს ძალით დაიბრუნებს და სოფლის სკოლას გადაეცემა.

# დედაქალაქის დასაცავად სააკაშვილი კანცელარიასთან გამოჩნდება

პირველი გვერდიდან

თბილისის მთავარი კანონმდებლის აზრით, საგზაო ფონდისა და საგადასახადო დეპარტამენტის მიერ "ეი-ი-ეს თელასის" საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება **"კანცელარიის კლოუნების"** მხრიდან, თბილისის მიზანმიმართული ბლოკადაა. მან ისიც აღინიშნა, რომ ამგვარი **"ბინძური თამაშით"** პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ხალხის მიერ არჩეულ საკრებულოს მტრობს, რადგან ამგვარ მავნებლობებში წინა მოწვევის საკრებულოს დროს პრეზიდენტი შემჩნეული არ ყოფილა.

**"ბატონო პრეზიდენტო! თბილისელების სახელით მოგმართავთ - თავი დაანებეთ დედაქალაქის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევას და საკრებულოსთან დაპირისპირების პრობლემა ღიად, კაცურად, ცივილიზებული მეთოდებით განვიხილოთ. თბილისი არ უნდა დაისაჯოს იმის გამო, რომ თქვენ საკრებულო და მისი თავმჯდომარე არ მოგწონთ,"** – ასე მიმართა მიხეილ სააკაშვილმა საკრებულოს.

პრეზიდენტთან "ჩუმად სალაპარაკო" სააკაშვილს, კარგა ხანია, არაფერი დარჩა, ამიტომ შევარდნაძეს "კაცურ" სატელევიზიო დებატებს სთავაზობს. მანამდე კი, თუ თბილისში წყალი შეწყდება და მეტრო გაითიშება, დედაქალაქისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნის მოთხოვნით, სააკაშვილი კანცელარიის მისადგომებთან გამოჩნდება. აქცია დღეისთვისაა დაგეგმილი. **"იმ შემთხვევაში, თუ კანცელარია არ გადაეჩვევა დედაქალაქის ანგარიშებზე ყადაღის დადებას, ჩვენთან ერთად ჩვეულებრივი მოქალაქეებიც გამოვლენ, სხვა გამოსავალი ხალხს არ დარჩენია. გაიხსენეთ იუგოსლავიის მაგალითი - მილოშევიჩმა მოსახლეობისთვის წყლის გათიშვა გაბედა, მაგრამ არ გამოუვიდა. იუგოსლავიელ დიქტატორს არც ეთნიკური შუღლის გაღვივება შეარჩინეს, გამოჩნდა "კმარა!" და მილოშევიჩს ვერაფერმა უშველა,"** – აცხადებს სააკაშვილი და უქმე დღეს საბოლოოდ უფუჭებს გუნება-განწყობას პრეზიდენტს.

# მწირბიუჯეტიანი ქვეყნის პრეზიდენტის ხელგაშლილობა

პირველი გვერდიდან

**შესრულების შესახებ, საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მომზადებისთანავე მოგაწვდით, შეძლებისდაგვარად შემჭიდროებულ ვადებში."**

პარლამენტში შესულ დასკვნაში კი მოლაშვილი წერს, რომ **"საქართველოს კანონით 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" განსაზღვრული პრეზიდენტის ფონდის გეგმა უკვე 2002 წლის პირველ ნახევარში იქნა ამოწურული... 2002 წლის 28 დეკემბრის ცვლილებით საქართველოს პრეზიდენტის ფონდის მოცულობა 18 მილიონ ლარამდე იქნა გაზრდილი, რითაც, ფაქტობრივად, დაკანონებულია ამ პერიოდისთვის გეგმის ზევით გაწეული ხარჯები".**

მოკლედ, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რომელმაც ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში უწყოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა კანონის დარღვევით 10 მილიონი გადახარჯა, დეპუტატის მოთხოვნის საპასუხოდაც კი ამ ფაქტის შეფასებას მოერიდა, დაელოდა, როდის "გაუპრავებდა" პარლამენტი პრეზიდენტს ამ ფულს და უკვე წელს წარმოდგენილ დასკვნაში დამშვიდებული სინდისით აღნიშნავს, რომ **"ამ პერიოდისთვის გეგმის ზევით გაწეული ხარჯები, ფაქტობრივად, დაკანონებულია".**

იყო თუ არა ვალდებული კონტროლის პალატა, კანონის დარღვევის ფაქტზე რეაგირება დაუყოვნებლივ გაეკეთებინა? ამ კითხვით "24 საათმა" იურისტ დავით უსუფაშვილს მიმართა.

**"კონტროლის პალატის მოვალეობა საბიუჯეტო სახსრების სწორად გამოყენებაზე კონტროლია. კონსტიტუციით, იგი პარლამენტის დამხმარე რგოლია - აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის გაგრძელება. შესაბამისად, კონტროლის პალატა ანგარიშვალდებული უნდა იყოს პარლამენტის წინაშე. მის მიერ ობიექტის შემოწმების შედეგად დარღვევების აღმოჩენისას პალატის თავმჯდომარემ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ტიპის რეაგირება მოახდინოს მათზე. დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მან უნდა აცნობოს გენერალურ პროკურატურას. მსუბუქი სახის დარღვევების დაფიქსირებისას იგი იმ უწყების ხელმძღვანელს ან მის ზემდგომთ მიმართავს, სადაც ეს დარღვევები აღმოაჩინა."** - ასეთი განმარტება მოგვცა მან.

დამეთანხმებით, დღეისათვის საკმაოდ ძნელია, პრეზიდენტის ფონდის გადახარჯვის გამო პრეზიდენტზე ზემდგომი ჩააყენო საქმის კურსში. და მაინც, ჰქონდა თუ არა სულხან მოლაშვილს უფლება, დეპუტატისთვის მის ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია, უფრო ზუსტად, შეფასება არ მიეცა?

**"ინფორმაცია საჯაროა და იგი უნდა მიეწოდოს არა მხოლოდ დეპუტატს, არამედ ნებისმიერ მოქალაქეს. ეს შეეხება კონტროლის პალატის მიერ მუშაობის პროცესში შექმნილ ნებისმიერ დოკუმენტს: აქტს, დასკვნას, რეკომენდაციას და ა.შ. თუ მოლაშვილს ბარამიძისგან წერილის მიღების პერიოდში კონკრეტული მონაცემები გააჩნდა, მაშინ მას ისინი მაქსიმუმ 10 დღის ვადაში უნდა გაეცა. თუ რას ასახავს კონტროლის პალატის თავმჯდომარე წლიურ ანგარიშში, ეს უკვე სხვა საკითხია",** - ამბობს დავით უსუფაშვილი.

ასე რომ, მოლაშვილის მიერ ბარამიძისადმი მიწერილი პასუხის გამო კონტროლის პალატის თავკაცთან შედავება თავისუფლად შეიძლება. რამდენად სერიოზული "თავისტკივილის მიზეზი" შეიძლება გახდეს მოლაშვილის ნაგვიანევი გამოფხიზლება თავად მოლაშვილისთვის?

**"თუ მოქალაქე ითხოვს რომელიმე საჯარო დაწესებულების მუშაობის შესახებ კონტროლის პალატაში შექმნილი დოკუმენტის ასლს, იგი მას უნდა მიეცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დოკუმენტის მოთხოვნა მოქალაქეს სასამართლო წესით შეუძლია. ვეჭვობ, კონკრეტულად ეს დარღვევა კონტროლის პალატის თავმჯდომარის საიმპიჩმენტოდ გამოდგეს, მაგრამ საკითხი პარლამენტში უნდა დაისვას და თავად მოლაშვილიც პარლამენტში უნდა დაიბარონ",** - ასკვნის ისევ დავით უსუფაშვილი. **"აქ პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დგას და ასეთი კადრი თანამდებობაზე მეორედ აღარ უნდა დაინიშნოს",** – დასძენს იგი.

სადაც პრეზიდენტს ეპატია ფონდის გადახარჯვა, იქვე, შესაძლოა, მისთვის ხელის წამფარებელ კონტროლის პალატის თავმჯდომარესაც ეპატიოს "უმნიშვნელო უგულისყურობა".

თუმცა, საქმე ის არის, რომ პრეზიდენტი წელსაც საკმაოდ ხელგაშლილად ხარჯავს თავის ფონდს. მართალია, არა სათავისოდ, არამედ **"სხვადასხვა კეთილი საქმისათვის",** მაგრამ - მაინც. ისტორია მეორდება. ასე რომ, არ არის გამორიცხული, პრეზიდენტის მიერ თანხების გადახარჯვის და შემდეგ ამის "გაკანონიერების" შემთხვევა წელსაც განმეორდეს. მით უმეტეს, რომ ბიუჯეტგარღვეული საქართველოს პრეზიდენტი წელსაც, ტრადიციისამებრ, ხელგაშლილია - მართალია, სახელმწიფო ხაზინის 1 აპრილის მონაცემებით, სახელმწიფო სარეზერვო ფონდზე გამოყოფილი 3 მილიონი ლარიდან მხოლოდ 633 026 ლარი იყო გახარჯული, მაგრამ, სამაგიეროდ, პრეზიდენტის ფონდზე გათვალისწინებული 11 მილიონი ლარიდან სამ თვეში უკვე 8 882 829 ლარი გახლდათ ათვისებული. შეგახსენებთ: 11 მილიონი ლარი ის თანხაა, რაც ქვეყნის მეთაურმა მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროებისა და საკითხების დასაფინანსებლად უნდა იმყოფინოს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საზავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# თქვენი შეცდომის "ცენტრპოინტი"

პირველი გვერდიდან

მართლა გაინტერესებთ საქართველოში და კერძოდ ჩვენ პარტიაში სომეხი პოლიტიკოსების საქმიანობა? მობრძანდით და გაგაცნობთ გენა მურადიანის ან მელიქ რაისიანის საქმიანობას. იქნებ აზერბაიჯანელების "ბოგინი" გაინტერესებთ? წარმოგიდგენთ ალაჰვერდი გუმბათოვს, რომელიც ბევრ სიურპრიზს მოგიმზადებთ თქვენი "გარანტირებული ხმების სამამალაძეოში". კიდევ ბევრი ქურთი და ბერძენი, რუსი და იეზიდი ბოგინობს ჩვენს რიგებში. ყველა ჩამოიარეთ და ყველას გააცანით თქვენი ქსენოფობიური ზიზღი.

თქვენი მცდარი გათვლის "ცენტრპოინტი" ის არის, რომ თქვენ არ იცნობთ ამ ქვეყანას და ამ ქვეყნის ხალხს. თქვენ ფიქრობთ, რომ თუ ქართველ პოლიტიკოსს სომხობას დააბრალებთ, ეს მის ღირსებასა ან ავტორიტეტს შელახავს. სინამდვილეში თქვენ თქვენი მეცადინეობით საბოლოოდ კარგავთ სამასი ათასი "მობოგინე" სომეხი ამომრჩევლის ხმას (რომელიც, სიმართლე უნდა ითქვას, არც არასოდეს გქონიათ) და კიდევ უფრო საბოლოოდ დაკარგავთ ისედაც დაკარგულ მილიონნახევარზე მეტ ქართველი ამომრჩევლის ხმას, რომელიც არ იხიბლება ძმათა ზიზღითა და შუღლის გაღვივებით.

თუმცა საიდან უნდა იცნობდეთ ამ ქვეყანას და ამ ქვეყნის ხალხს, როცა მთავარი ღირებულება და მთავარი იდეა, რომელსაც თქვენ ყოველთვის ემსახურებოდით, წითელ, მოგვიანებით კი მწვანე, კუპიურებზე გამოსახული შეძლებისდაგვარად მრავალნოლიანი ციფრი იყო. ფული და თანამდებობა - თუ ეს ორი ღირებულება უმთავრესია, მაშინ მართლა რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვი დღეს. გამართლებულია ნებისმიერი სიბინძურე - ეთნიკური შუღლი, რე-


გოკა გაბაშვილი

ლიგიური ექსტრემიზმი, პირადი შეურაცხყოფა, ძალადობა - მთელი თქვენი არსენალი სახეზეა. მიდით ბატონებო, იმოქმედეთ. ოღონდ უნდა გესმოდეთ, რომ შედეგს ეს არ შეცვლის. ამ ქვეყნის ხალხი ზუსტად იმას ფიქრობს თქვენს შესახებ, რასაც იმსახურებთ.

ახლა კი გეტყვით, რას ნიშნავს ისტორიის სანაგვე. ისტორიის სანაგვე არის ასეთი წარმოსახვითი ადგილი, სადაც უკვე იმყოფები, თუკი ატყობ, რომ შენ ქვეყანას განახლება სჭირდება, შენ კი იგივეს შენარჩუნება გაძლევს ხელს; შენი ქვეყანა რეფორმებს საჭიროებს, შენ კი ცეცხლივით გეშინია ამ რეფორმების, იმიტომ, რომ ყველაფერს კარგავ; შენი ქვეყანა ოთხი წლის წინ ზარზეიმით შევიდა ევროსაბჭოში, დღეს კი აუცილებლობა მოითხოვს თქვა, რომ ეს მტრული ორგანიზაციაა, რომელიც ჩვენს შინაურ საქმეებში ხელებს აფათურებს; შენი ქვეყანა მუდამ მრავალეროვან ერთობასა და სამოქალაქო თანხმობას ეფუძნებოდა, შენ კი ფიქრობ, რომ იქნებ რამენაირად გააღვივო ეროვნული ზიზღი (სად არ გაღვივებულა, თუ მაგრა მიაწექი!) და ამით პოლიტიკურად იხეირო; შენი ქვეყანა ქრისტიანულ მორალს და ეთიკას ეფუძნება, შენთვის კი დღეს ისე იწვის მიწა, რომ ცილიც უნდა სწამო, ჭორიც უნდა დაუყარო, ჩირქიც უნდა ანთხიო.

თუ ამას ყველაფერს სისხლხორცეულად გრძნობთ, თუ მიხვდით, რომ სხვა გზა აღარ გაქვთ, უნდა გამოუტყდეთ საკუთარ თავს, რომ ადგილი, სადაც აღმოჩნდით, სხვა არაფერია, თუ არა ნამდვილი, დიდ შარაგზაზე გამოდგმული ისტორიის სანაგვე.

# ხავსი, რომელიც არასამთავრობოთა ნაწილმა გადაუგდო ხელისუფლებას

ბადრი კოპლატაძე

საარჩევნო პროცესისადმი დიდი ყურადღება ხელისუფლების აშკარა გაღიზიანებას იწვევს. სამთავრობო წრეებს და მათთან დაკავშირებულ პარტიებს ძალზე აშინებთ ის განწყობა, რაც საზოგადოებაში იქმნება - აღარავის სურს, ნოემბრის არჩევნები მორიგ ფარსად იქცეს, რომელიც უბრალოდ იურიდიულად გააფორმებს კანცელარიის კაბინეტებში წინასწარ გამოთვლილ პროცენტებს. ამიტომაც არის, რომ ბოლო ორი კვირა ახალმა სახელისუფლო გაერთიანებამ "კმარას" ლანძღვა-გინებას დაუთმო.

"სოციალისტთა" ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და პრეზიდენტის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები სხვადასხვა ეპითეტებით ისეთივე შემართებით შეამკო, როგორც თავის დროზე თვითონ შევარდნაძეს ამკობდა. რჩეულიშვილის ასეთი საქციელი მოულოდნელი ნამდვილად არ არის, თუმცა "სოციალისტთა" ლიდერის გამოსვლამ მისივე ბლოკის სხვა ლიდერები, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა. ბლოკ "ახალი საქართველოსათვის" სპიკერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია იმავე დღეს გაემიჯნა რჩეულიშვილის გამონათქვამებს. არადა, სწორედ სარიშვილი-ჭანტურია იყო ის ადამიანი, ვინც ამ თემაზე პირველმა გააკეთა განცხადება. მისი გამოსვლა იგივე რჩეულიშვილის გამოსვლისაგან შინაარსობრივად არაფრით განსხვავდებოდა. როგორც სჩანს, თვითონ ხელისუფლებაშიც გრძნობენ, რომ მათ მიერ არჩეული ტაქტიკა, ღიად დაუპირისპირდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც სამართლიანი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ, ძალზე წამგებიანია. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი პროცესის დასამუხრუჭებლად სხვა გზების გამონახვასაც შეეცდებიან.

ამ ფონზე არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ჯგუფის ინიციატივა, პარლამენტის წევრთა შემცირებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ, ხელისუფლებისათვის შეიძლება ის ხავსი აღმოჩნდეს, რომელზე ჩაჭიდებაც მას გადარჩენის შანსებს გაუზრდის. არჩევნების და რეფერენდუმის ერთდროულად ჩატარების პერსპექტივა კანცელარიისათვის მოვლენათა განვითარების მართლაც მომხიბვლელი პერსპექტივაა. სახელისუფლებო ძალებს ეს საშუალებას მისცემს, შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანონ აქცენტები სულ სხვა მიმართულებით. საკმაოდ ადვილია, უმტკიცო მოსახლეობას, რომ ქვეყნის უბედურების სათავე სწორედ პარლამენტართა რაოდენობაა და არა ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც პარლამენტზე ბევრად მრავალრიცხოვანი პრეზიდენტის კანცელარია იღებს. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ და როგორ გაიმარჯვებს არჩევნებში; არა აქვს მნიშვნელობა, გაყალბდება თუ არა არჩევნები; მთავარია, რომ დეპუტატთა რაოდენობა შემცირდეს, გამოთავისუფლებული სახსრები კი ისევ ხალხს მოხმარდეს. სწორედ ასეთი პრიმიტიული ლოგიკით შეიძლება შეეცადოს ხელისუფლება მისთვის უმძიმესი არჩევნების წინ ფონს გასვლას.

გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ დეპუტატთა რაოდენობის შემცირებას უწინარესად პოლიტიკური დატვირთვა აქვს. საქართველოს მსგავს ფსევდოდემოკრატიულ ქვეყნებში მმართველი წრეების უმთავრეს ამოცანას პოლიტიკური ძალების მაქსიმალურად ლოკალიზება და მათი გავლენის შემცირება წარმოადგენს. დასავლური ტიპის დემოკრატიის დამკვიდრება კი ძლიერი პარტიული სისტემის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია. საქართველოში პოლიტიკური ძალების გაძლიერების განმსაღვრელი ფაქტორი პარლამენტში მათ მიერ მოპოვებული ადგილების რაოდენობაა. რაც უფრო ბევრი პარტიული მოღვაწე შეძლებს ცნობადობის მაღალი ხარისხის მიღწევას, მით უფრო დიდი იქნება ამა თუ იმ პარტიის გადარჩენის და განვითარების შანსი. ამ მიზნის მიღწევას, უპირველეს ყოვლისა, პროპორციული ანუ პარტიული სიებით არჩევნები უზრუნველყოფს, რადგანაც მაჟორიტარულ არჩევნებში პარტიებს საკმაოდ უჭირთ ადგილობრივ ფინანსურ ბობოლებთან ანუ რაიონებში ხელისუფლების უმთავრეს დასაყრდენებთან დაპირისპირება. აქედან გამომდინარეობს პროპორციული სისტემით არჩეულ დეპუტატთა შემცირებაზე დისკუსიის წამოწყების მცდელობაც.

გარდა ამისა, პოლიტიკური ძალების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას, პროფესიულად და პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანების არჩევნების გზით სხვადასხვა სახელისუფლო რგოლებში მოხვედრა წარმოადგენს. პარტიული წარმომადგენლობის შეზღუდვა ამ ადამიანებს კვლავ კორუფციით გაჟღენთილი სისტემისაკენ უბიძგებს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ორგანოში პარტიული სიით არჩეულ დეპუტატთა ერთჯერადი, რადიკალური შემცირება პოლიტურ ძალებს არა მარტო შეასუსტებს, არამედ მათ სამომავლო პერსპექტივებსაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, თუმცა აქ მთავარი, ალბათ, სხვა რამ არის. დღეს ყველა ძალის, იქნება ეს პარტია თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, ძირითადი ორიენტირი ნოემბერში დაგეგმილი არჩევნების სამართლიანად ჩატარება უნდა იყოს. ამიტომაც ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც სხვა დროს და სხვა პირობებში, შეიძლება, სრულიად სხვანაირად ყოფილიყო აღქმული, მაგრამ არჩევნების წინ სრულიად სხვა შეფერილობას იღებს. ახლა ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ შეცდომის დაშვების უფლება არავის აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ეს "შეცდომა" ვინმეს წინასწარ ჩაფიქრებული განზრახვა არ იქნება.

# ვალერია ნოვოდვორსკაია: "დიახ, პუტინი ბერეზოვსკის პროექტია"

პირველი გვერდიდან

არ ჰქონდა ეკონომიკური ინტერესები დუმაში. მადლობა ღმერთს, რომ ამაზე დღეს ლაპარაკსაც ვერავინ ბედავს. მისი ლიკვიდაციის ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ როგორმე არჩევნებზე არ დაეშვათ, არჩევნების წინ რუსეთის ტელევიზიაზე გამოყოფილი უფასო საათებით არ ესარგებლა ოპოზიციას. რა თქმა უნდა, "ლიბერალნაია როსია" არჩევნებს ვერ მოიგებდა, ეს კრემლმა მშვენივრად იცის, მაგრამ ის სწორედ ისეთ ადამიანებს კლავს, ვისაც დარჩენილ დროში სიმართლის ლაპარაკი შეუძლია.

რუსეთში, ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით, დემოკრატი მარგინალები პარლამენტში ადგილებს ვერ მიიღებენ, ამიტომ დარჩენილებს პარლამენტიდან ნელ-ნელა იშორებენ. "ლიბერალნაია როსია" იყო ერთადერთი პოლიტიკური პარტია რუსეთში, რომელიც ღიად უჭერდა მხარს საქართველო-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობასა და საქართველოს იცავდა. სერგეის მკვლელობით დამტკიცდა, რომ ლიბერალიზმი რუსეთში დისიდენტობად იქცა. ამით აიხსნება იუშენკოვის მკვლელობა და სხვა ვერსია ჩვენ არც გვწამს.

**- ბორის ბერეზოვსკის ხელი ან მისი ფინანსები ამ მკვლელობაში არ ურევია, როგორც ამას რუსული წყაროები ამტკიცებენ?**

- ბერეზოვსკის სერგეი არ მოუკლავს. ეს ცუდი საფუძველი იქნებოდა კრემლთან ოპოზიციონერობისათვის. ბერეზოვსკი ავანტურისტი და თაღლითია, მაგრამ იუშენკოვის მკვლელობა მისი ხელწერა არ არის. ბერეზოვსკის სულ სხვა მეთოდები აქვს, მაგალითად, ვინმეს გაცურება, მოსყიდვა შეუძლია. ამ მკვლელობით რუსეთში საკუთარ ექსტრადიციას ხომ არ დააჩქარებდა?! უამისოდაც იდიოტური ნაბიჯები გადადგა.

**- თქვენ ხომ ადრე მეგობრობდით, ინგლისშიც იყავით მასთან, როგორ ფიქრობთ, ბერეზოვსკის კომუნისტებთან, პროხანოვთან დაახლოება რას უნდა ნიშნავდეს?**

- რაც კომუნისტებს გადაეჯაჭვა, იმის მერე აღარც ველაპარაკები. პროხანოვთან და ზიუგანოვთან კავშირით ბერეზოვსკიმ შეარცხვინა რუსეთში ოპოზიციონერობისა და ლიბერალიზმის იდეა. ამიტომაც გავრიცხეთ პარტიის რიგებიდან.

**- მაგრამ ბერეზოვსკიც ხომ იგივეს ამბობს, რასაც თქვენ. მაგალითად, მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში სპეცსამსახურების დადანაშაულება?**

- მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში ლუბიანკის დადანაშაულება - ეს ჩვენი იდეაა და ბერეზოვსკი მას ვერაფრით მიისაკუთრებს. მერე რა, რომ ამ აფეთქებების გამოძიებაზე ფილმი დააფინანსა. სერგეი იუშენკოვმა ჩამოიტანა მოსკოვში იმ ფილმის 900 კასეტა. ბერეზოვსკიმ უბრალოდ გაიმეორა ჩვენი ინფორმაცია, როცა რიაზანში სპეცსამსახურები გამოვიჭირეთ მორიგი ტერაქტის ორგანიზების მომენტში.


ნოვოდვორსკაიას არასოდეს უღალატია ექსტრავაგანტული ხასიათისთვის.

მასხადოვის არც ერთ უგონო წარმომადგენელს ხელს არ აძლევდა მოსკოვში მძინარე ხალხის აფეთქება. ჩეჩნები ამ ტერაქტში გამოიყენეს, ახმად კადიროვიც ჩეჩენია, მაგრამ იგი ჩეჩენ ხალხს სულაც არ წარმოადგენს. ლუბიანკა ჩეჩნებთან აქტიურად მუშაობს. ბერეზოვსკიმ ეს ფაქტიც კრემლთან ანგარიშსწორებისათვის გამოიყენა. კასეტების მოსკოვში ჩამოტანა კი იუშენკოვთან ანგარიშსწორების ერთ-ერთ მიზეზად გამოიყენა კრემლმა.

**- სერგეი იუშენკოვს ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში აქვს ნათქვამი, რომ ბერეზოვსკი თუნდაც იმიტომაა დიდი ადამიანი, რომ მან პუტინი შექმნა. იზიარებთ ამ მოსაზრებას? და თუ რუსეთის პრეზიდენტი მართლა ოლიგარქის "პროექტია", რა ბედი ელის პუტინს უახლოეს მომავალში?**

- მე ეს ფრაზა ძალიან მომწონს. დიახ, პუტინი ბერეზოვსკის პროექტია. მაგრამ დღეს ბერეზოვსკის ქმედებები პუტინის რეჟიმის წინააღმდეგაა მიმართული და მის კომპრომეტირებას ცდილობს. ბერეზოვსკის სხვა მიზანი არ ამოძრავებს, პარლამენტში მოსვლის გარდა. ბერეზოვსკის ჩემთვის რამდენჯერმე აქვს მოყოლილი, თუ როგორ იპოვა ვლადიმირ პუტინი, როგორ მიიყვანა ელცინთან და როგორ ურჩია, ევგენი პრიმაკოვზე უარესი არ იქნებაო. ბერეზოვსკიმ არ იცოდა მთავარი, რომ პუტინი სტალინელია. ამიტომაც საკუთარმა პოლიტიკურმა ინტრიგებმა ბორის აბრამის ძე კრახამდე მიიყვანა. რა თქმა უნდა, დღეს ბერეზოვსკი და პუტინი ერთია. მხოლოდ ხასიათებით ვერ შეეწყვენ ერთმანეთს და რაღაცეები ვერ გაიყვეს. მათი მუშაობის მეთოდებიც ერთია.

პოლიტიკა, საერთოდ, სინდისზე ხელის აღებაა. რუსეთის ინტელიგენცია მიიჩნევს, რომ საცხოვრებელი სახლების აფეთქების იდეა პუტინს ბერეზოვსკიმ უკარნახა. ბერეზოვსკი ბოროტი გენიაა. სიხარბის გამო მან და გუსინსკიმ ჩუბაისი დაამარცხეს. პრიმაკოვის კრახიც მათი დამსახურებაა, პუტინიც. ახლაც რუსეთში ახალი ოქტომბრის სოციალისტური გადატრიალება მზადდება და ეს პროცესი რუსეთის არმიიდან მოდის, რომლის გენერლებიც, ლეონიდ ივაშოვის სახით, პუტინს წერილებს წერენ შემდეგი სიტყვებით: **"ან მიიღეთ გადადგომაზე გადაწყვეტილება, ან ჩვენ ახალ მინინსა და პოჟარსკის მოვნახავთ."** აი, ასეთი სიტუაციაა დღეს რუსეთის უმაღლეს სამხედრო გენერალიტეტში, რომელსაც პუტინი ეზიზღება და მოხერხებულ დროს ეძებს სოციალისტური გადატრიალებისათვის, ახალი გეკაჩეპესათვის. არსებობს "რუსეთის ოფიცერთა უმაღლესი შეკრება", რომელიც ჩეჩნეთში ომის დასრულების წინააღმდეგია. ისინი სწორედ იმიტომ ებრძვიან პუტინს, რომ სტალინობა ვერ გასწია.

**- როგორი არჩევნები იქნება რუსეთში?**

- მომავალ არჩევნებში არ მშურს რუსი დემოკრატების. ხელისუფლება მათ შეავიწროვებს, მაგრამ იყიდის. "იაბლოკოს" ლიდერი იავლინსკი უკვე კრემლმა იყიდა და იგი მემარცხენეობისაკენ გადაიხარა, მეტად ულირსად იქცევა. შედარებით ღირსეულად ხაკამადა და ნემცოვი იქცევიან, მაგრამ მათ უკვე შიში დაეტყოთ და თაგვებივით ჩუმად არიან. რუსეთის პრობლემა დემოკრატიულ არჩევნებშია. რუსი ხალხი დღეს "ხოლოპია", იგი მაინც "ერთიან რუსეთსა" და კომუნისტებს დაუჭერს მხარს, ჟირინოვსკისაც. წინა არჩევნებში პუტინს 11 პროცენტი წაუმატეს, თორემ რეალურად ზიუგანოვმა გაიმარჯვა. თუკი ხალხი გამოფხიზლდება, არის შანსი დემოკრატების გამარჯვებისა. უნდა ველოდოთ, რომ არჩევნებამდე დემოკრატებს, ოპოზიციონერებს საბლოოდ დააშინებენ და ხალხს ნახირივით გარეკავენ არჩევნებზე. პუტინი კვლავ პრეზიდენტი გახდება, თუკი არმია დააცლის.

**- რუსეთი საქართველოთი უკმაყოფილოა აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობის გამო. ადრე ხშირად მოგზაურობდით საქართველოში. ახლა რა აზრი გაქვთ იქ მიმდინარე მოვლენებზე?**

- აშშ-სთან სამხედრო თნამშრომლობა შევარდნაძის სიცოცხლეში მისი ერთადერთი გონიერი საქციელია და ვაშინგტონიდან ნაკარნახევია, რა თქმა უნდა. მაგრამ ამ მოდელზე დათანხმება უკვე გონიერებას ნიშნავს. ისიც გონიერებაა, რომ შევარდნაძეს საქართველო დსთ-დან გაჰყავს. ის, რაც რუსეთის დუმაში ხდებოდა, საქართველო-აშშ სამხედრო შეთანხმებაზე განცხადების მიღების დღეებში, სამარცხვინო ფურცელია რუსეთის ისტორიაში. ამით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საქართველო ზოგიერთს რუსეთის გუბერნია ჰგონია. დაიმახსოვრეთ, იმპერიული აზროვნების გადმონაშთი ჩვენს ელიტას დაღუპავს. მე შევარდნაძეს ვერსოდეს ვაპატიებ ზვიად გამსახურდიას, აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაკარგვას, იქ საბჭოთა ჯარების შეყვანას, საქართველოში სამოქალაქო ომის გაჩაღებას. ამერიკის მორიგ შტატად გახდომა საქართველოსათვის ერთადერთი ხსნაა და გადარჩენის შანსი. აქ შევარდნაძე არ ტყუის. დემოკრატიზმი და სუვერენიტეტი მან ზვიადს ჩაატანა საფლავში, ახლა სწორ ნაბიჯებს დგამს. დღეს ქართველმა ხალხმა შევარდნაძის კურსს მხარი უნდა დაუჭიროს, თორემ შევარდნაძეს ისეთი დაცვა ჰყავს... ან კიდევ ერთ გადატრიალებას მოიწყობს და კარგად მეყოლეთ! დღემდე ვერ გამიგია, ქართულმა ინტელიგენციამ რატომ ვერ გამოზარდა საქართველოს პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატი?

# "ეი-ი-ეს თელასი" - გემრიელი კერძი სამთავრობო სუფრაზე

*იმისათვის, რომ დედაქალაქის პარალიზება არ მოხდეს, თბილისის ბიუჯეტს "ეი-ი-ეს თელასისათვის" 3 მილიონი ლარის გასტუმრება მოუწევს. ეს გადაწყვეტილება მთავრობამ გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე მიიღო.*

მაია ურუშაძე

დღეს ამოიწურა ვადა, რომელიც "ეი-ი-ეს თელასმა" საბიუჯეტო ორგანიზაციებს დავალიანების დაფარვისთვის მისცა. კომპანიის მუქარის თანახმად, თუ "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშზე თანხა დღესვე არ შევიდოდა, ამერიკული კომპანია ქალაქის სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტდა. მეტროპოლიტენისა და სხვა ტრანსპორტის გაჩერების თავიდან ასაცილებლად მთავრობას ჯიბეზე ხელის გაკვრა და სამი მილიონი ლარის მოძიება მოუხდა. თუმცა, ეს თანხა მხოლოდ "მეტროპოლიტენის", "თბილწყალკანალისა" და "თბილტრანსის" (თბილისის ტრანსპორტი) დავალიანებას დაფარავს. დედაქალაქის სხვა სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების ბედი კი კვლავ გაურკვეველი რჩება.

"ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერის იგნასიო ირიბარენის ინფორმაციით, ბიუჯეტს მისი 17 მილიონი ლარი მართებს. აქედან 11 მილიონ 500 ათასი – საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურია; 4 მილიონ 600 ათასი ის თანხაა, რომელიც სახელმწიფომ "ეი-ი-ეს თელასს" ომის ვეტერანების, ინვალიდების, დევნილებისა თუ სხვა სოციალურად დაუცველი პირებისათვის შეღავათების გასაწევად უნდა მისცეს; მილიონ 200 ათასი კი - ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ზამთრის გათბობის პროგრამისთვის გამოყოფილი გრანტის ნაწილია, რომელიც თავის დროზე მთავრობამ "ეი-ი-ეს თელასს" სამი დღით ჩამოაჭრა ანგარიშიდან და დღემდე არ დაუბრუნებია.

"ეი-ი-ეს თელასი" გამოსავალს ურთიერთჩათვლაში ხედავს, მაგრამ მთავრობა კომპრომისზე არ მიდის. მეტიც: საგადასახადო ინსპექციის თავმჯდომარის იასე ზაუტაშვილის მიერ ურჩ გადამხდელთა "შავ სიაში" მოხვედრილი "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიში კვლავ დაყადაღებულია. მას საგადასახადო ინსპექცია ხუთ მილიონ ლარს ედავება (რასაც კომპანია არ ცნობს, რადგან ეს კომერციულ დანაკარგებზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადია, რომლის მოხსნასაც კომპანიას სახელმწიფო მინისტრი დაჰპირდა), სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო 5 მილიონ 800 ათასი ლარის მისაღებად სასამართლოში ჩივის ( "ეი-ი-ესმა" მოსახლეობისათვის ტარიფის მატების საკომპენსაციოდ მთავრობისგან 7 მილიონ 800 ათასი ლარი მიიღო, თუმცა ტარიფის შემცირების გამო ბოლომდე არ დაუხარჯავს) საგზაო ფონდის თავმჯდომარეს ბორის სარალიძეს კი თვალი მილიონ 700 ათას ლარზე უჭირავს. "ეი-ი-ეს თელასი" საგზაო ფონდის პრეტენზიებს არ სცნობს. კომპანიაში განმარტავენ, რომ თუ საგზაო ფონდი ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 0,1 პროცენტის ნაცვლად ათმაგს - 1 პროცენტს მოითხოვს, კომპანია იძულებული გახდება, ტარიფი გაზარდოს.

"თელასის" გენერალური მენეჯერის ინფორმაციით, როდესაც საგზაო ფონდმა კომპანიის ანგარიში დააყადაღა, საგადასახადო დეპარტამენტმა მას დაასწრო და პირველმა თავად ჩამოაჭრა თანხა. იგნასიო ირიბარენი აცხადებს, რომ ამჟამად კომპანია თავის ანგარიშებს ვერ აკონტროლებს.

ამასობაში, მთავრობა "ეი-ი-ეს თელასთან" კომპრომისზე წასვლას და ურთიერთჩათვლით დავალიანების გაქვითვას არ გეგმავს. კანცელარიაში მიიჩნევენ, რომ ამერიკულ კომპანიას **"ანგარიშზე ყადაღა სამართლიანად ადევს."**

**"ამ ვითარებაში კომპანია თეფშზე დადებულ გემრიელ წიწილას წააგავს, რომლის განაწილებაზე საგზაო ფონდი და საგადასახადო დეპარტამენტი ერთმანეთს ექიშპებიან,"** – აცხადებს იგნასიო ირიბარენი.

# ბადრი ჯაფარიძე: „ბერეზოვსკის ბორჯომი არ უყიდია"


გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

ბადრი ჯაფარიძე: ჩვენ ასეთ შესაძლებლობას ვერ გამოვრიცხავთ

პირველი გვერდიდან

ინფორმაციებს GG&MW-ს ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე არასერიოზულად აფასებს და აცხადებს, რომ კომპანიის აქციები საინვესტიციო ბანკ "სელფორდს" და, მით უმეტეს, ბორის ბერეზოვსკის არ უყიდიათ. **"სელფორდი" ჩვენი ერთ-ერთი კონსულტანტი საინვესტიციო ბანკია, რომლის მფლობელ უიჯინ ჯაფეს, როგორც "ალფა ბანკის" ყოფილ დირექტორს, რუსეთის ბაზრის ღრმა ცოდნა აქვს. "სელფორდი" ისევე უწევს კონსულტაციებს ბერეზოვსკის, როგორც ბევრ სხვა მდიდარ ადამიანს და ამიტომ აბსურდია იმაზე საუბარი, რომ "სელფორდი" ბერეზოვსკის კუთვნილებაა",** - აცხადებს ჯაფარიძე. მაგრამ მომავალში რუსეთიდან დევნილი ოლიგარქის სახელის მათ კომპანიასთან დაკავშირების შესაძლებლობას ჯაფარიძე სრულად მაინც ვერ გამორიცხავს. **"ვთქვათ, კომპანიის სტრატეგიულ ინვესტორად "ნესტლე" ან "დანონი" მოვიწვიეთ, რასაც ქართული ეკონომიკისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ხომ შეიძლება, აღმოჩნდეს, რომ ბერეზოვსკი რომელიმე მათგანის აქციონერია? ჩვენ ასეთ შესაძლებლობას ვერ გამოვრიცხავთ",** - მიაჩნია GG&MW-ს ვიცე-პრეზიდენტს.

სტრატეგიული პარტნიორის სახით მსოფლიო მასშტაბის კომპანიის (მაგალითად: "ნესტლე", "დანონი", "კოკა-კოლა" ან "პეპსი-კოლა") მოზიდვა GG&MW-ს შედარებით გრძელვადიან გეგმებში შედის. სხვადასხვა დროს "ნესტლესა" და "დანონთან" ქართული კომპანიის წარუმატებელი მოლაპარაკებების შესახებ საერთაშორისო პრესაში გარკვეულმა ინფორმაციამ ადრე რამდენჯერმე გაჟონა. თებერვალში "ფაინენშალ თაიმსი" იუწყებოდა ოფშორული საინვესტიციო ბანკის "სელფორდის" მიერ "ბორჯომის" აქციათა 50 პროცენტის შეძენის შესახებ. გაზეთი ასევე წერდა, რომ ეს გარიგება მას შემდეგ შედგა, რაც: **"კვების პროდუქტების ცნობილმა ფრანგულმა კომპანიამ "დანონმა" უარი თქვა GG&MW-ს წილზე, რაც, თავის მხრივ, BP-ის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ განაპირობა".**

ჯაფარიძის თქმით, ამჟამად კომპანია აქტიურად მუშაობს იმ მიმართულებით, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებამ GG&MW-ს განვითარებაზე არანაირად არ იმოქმედოს. როგორც კი შესაფერისი დრო დადგება, სტრატეგიული პარტნიორის მოძიების პროცესი კვლავ გაგრძელდება. ჯაფარიძე არ გამორიცხავს, რომ ერთ-ერთ ასეთ პარტნიორად რუსული კომპანია "ვიმ-ბილ-დან"-იც განიხილებოდეს, რომელიც, მართალია, რძის პროდუქტებისა და წვენების წარმოებით არის დაკავებული, მაგრამ მინერალური წყლების წარმოების დაწყების ან შეძენის სურვილიც დააფიქსირა.

ჯერჯერობით კი, კომპანიის სამომავლო გეგმებში უკრაინულ კომპანია IDS-თან თანამშრომლობის დაწყება და განვითარება შედის. IDS-ი უკრაინის არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზე ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომლის ბრუნვამ შარშან 45 მილიონი დოლარი შეადგინა და მას თავისი "მირგოროდსკაიათი" უკრაინის ბაზრის 14 პროცენტი უკავია. ამავე დროს, IDS-ი უკრაინაში უალკოჰოლო სასმელების ყველაზე ფართო სადისტრიბუციო ქსელს ფლობს, რაც GG&MW-თვის განსაკუთრებით მიმზიდველია. თანამშრომლობის შესახებ პრინციპული შეთანხმება კომპანიებს შორის უკვე მიღწეულია და განზრახულებათა ოქმიც გაფორმებულია, მაგრამ ფინანსური საკითხები ჯერ ისევ დამუშავების სტადიაზეა. **"IDS-ს სჭირდება ისეთი ლოკომოტივი, როგორიც "ბორჯომია". ჩვენ კი IDS-ის სადისტრიბუციო ქსელი გვჭირდება,"** – აცხადებს GG&MW-ს ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე. მისი ინფორმაციით, ამ ურთიერთსასარგებლო გარიგების წყალობით, "ბორჯომი" უკრაინის ტერიტორიაზე რეალიზაციის 18 ათას პუნქტში შეაღწევს, ხოლო "მირგოროდსკაია" "ბორჯომის" მიერ რუსეთისა და ბალტიის ქვეყნებში მოპოვებულ ბაზრებზე დამკვიდრების შესაძლებლობას მიიღებს.

შუქი მოვიდა! — ბუნებრივია, რომ გაგიხარდეს, არა? და მაინც არის ამ სიხარულში რაღაც სამარცხვინო, რაღაც მონური, ადამიანური ღირსების საწინააღმდეგო. ღირსება კი ერთადერთია: საკუთარი არსებობისათვის ბრძოლა და ამ არსებობის დამსახურება. მაგალითად, შრომის უფლების დამკვიდრებით, შრომისათვის ანაზღაურების მიღებით, ამ ანაზღაურებიდან კი ყოველივე აუცილებლის ყიდვით. მათ შორის ელექტროდენისაც... მაგრამ ახლა ამ ბრტყელ მორალიზაციას აღარ გავაგრძელებ. უბრალოდ, ერთმა მეგობარმა მითხრა, რუსეთის ნაკრებზე გამარჯვება შუქის მოსვლის სიხარულს მაგონებსო. მივიჩნიე, რომ ამ ფრაზაზე დაფიქრება ღირდა.

სულ მალე "24 საათში" დაბეჭდილმა მასალებმა ეჭვები დამიდასტურა...

გადავხედოთ B4 და B5 გვერდებზე 2 მაისს გამოქვეყნებულ მასალებს. **მიხეილ აბაიშვილი**, *შუშაკის სამწვრთნელო-პატრიოტული რეცეპტი*: "**სულ 90 წუთში ივო შუშაკმა ისეთი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში, დარწმუნებული ვარ, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართოს და შუშაკმა კენჭი იყაროს, გამარჯვების ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტი იქნება. ამ უცხო ტომის კაცმა მარტო საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებში კი არა, მთელ ქართველობაში გამოაღვიძა ეროვნული თვითშეგნება. თანაც, ეს გააკეთა არა დროშების ფრიალით, არა მფრინავ იელოველებთან და კორუფციასთან წარმატებული ბრძოლით, არა მოწოდებებითა და ლოზუნგებით, არამედ საქმით, რომლის ნამდვილი პროფესიონალიცაა და რისი კეთებაც არ ეზარება**".

სულ ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ავტორმა თავისი ფელეტონური უნარის გაელვება განიზრახა. მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გაელვება ჩაფლავდა. ამ შესაძლებლობის უგულებელყოფა მოგვიწევს, რადგან მოყვანილ პასაჟში ერთ ძაფზე ჩირივით აცმული ხუმრობები ნამდვილად უადგილოა. მაინც რატომ? — ირონიასა და იუმორს ავტორი ხმალივით უნდა იქნევდეს, ძლიერად და შეუმცდარად, ჩვენი გმირი კი საკუთარ იუმორს თვითონვე აბიჯებს ფეხს, როგორც მიწაზე დაგდებულ თოხს. ჰოდა, თოხის ტარიც ცხვირში გვირტყამს ავტორთან ერთად ყოველ ჩვენგანს.

თურმე თერთმეტი კაცის საათნახევრიანი ბურთაობა ყოფილა საკმარისი იმისათვის, რომ ვინმე პრეზიდენტადაც ავირჩიოთ, ხოლო კორუფციასთან წარმატებული ბრძოლა და "მფრინავი იელოველების" წინააღმდეგ მიმართული რწმენის დამსჯელი მახვილი თურმე ერთნაირი რანგისა და დონის ფენომენებია. ნუთუ მართლა ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ფეხბურთის მწვრთნელის პროფესიონალიზმი კმარა სახელმწიფოს სამართავად?

მე არ ვებრძვი ჰიპერბოლას. თუ ასე გწადიათ, აიყვანეთ ცაში შუშაკი, თქვით, რომ სერბი კოპალა ან ხორვატი ჯგრაგია, ღმერთმა შეგარგოთ. მეც, ვირგილიუსისა არ იყოს, შემოგხედავთ და ჩავივლი, მაგრამ ამ ჰიპერბოლიზაციაში ნუ გააბითურებთ ჩვენს უმთავრეს ღირებულებებს, ასე მსუბუქად და ჰაიჰარად ნუ შეეხებით ჩვენს ტკივილსა და სირცხვილს. დიახ, რადგანაც კორუფცია ჩვენი ტკივილია, იელოვას მოწმეთა უთავბოლო დევნა კი — ჩვენი სირცხვილი. და თუ ასე არაა, თუ ეს ტკივილი და სირცხვილი შეიძლება საკუთარ მოედანზე არც თუ ისე მაღალი კლასის გუნდის წინააღმდეგ მინიმალური ანგარიშით მოგებამ დააცხროს და ანგლობის საბაბად აქციოს, მით უარესი ჩვენთვის!

იქვე, B5 გვერდზე მოთავსებულია ხელმოუწერელი პუბლიკაცია "За державу обидно...". აქ მოცემულია რუსული ინტერნეტ-გვერდებიდან ამოკრეფილი რამდენიმე ფრაგმენტის თარგმანი. ინტერნეტი, საზოგადოდ, მედიის ყველაზე დემოკრატიული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანარქიული საშუალებაა. მაგალითად, არის ვებ-საიტები, სადაც ადამიანები თავიანთი ბინის ინტიმურ კუნჭულებში განლაგებული ვიდეოკამერების საშუალებით საქვეყნოდ გამოფენენ თავიანთ ცხოვრებას, ცნობილია შემთხვევები, როცა ვიღაც-ვიღაცეებს, გადატანილი ქირურგიული ოპერაციების შემდეგ, ინტერნეტ-გვერდებზე "დაუკიდებიათ" თავიანთი აპენდიქსების, სხვადასხვა სიმსივნეებისა და სხვა ამოკვეთილი ორგანოებისა თუ უცხო წარმონაქმნების ფერადი ფოტოები. ახლა დრო არაა ამგვარი მოვლენების ფსიქოლოგიური თუ სოციოლოგიური ანალიზისთვის. აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ინტერნეტის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა ცენზურისადმი აბსოლუტურად ლიბერალური დამოკიდებულება, რაც ნიშნავს, რომ ერთნაირადაა დაშვებული როგორც უმკაცრესი ცენზურა, ასევე სრული უცენზურობა. ამგვარი მოვლენის მიმართ კი საინტერპრეტაციო მიდგომებიც განსხვავებული უნდა იყოს.

"24 საათის" ნახსენები პუბლიკაციის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური შეცდომა ისაა, რომ ინტერნეტში გამოქვეყნებულ ცნობებს ისევე განიხილავს, თითქოს ეს ინფორმაცია რომელიმე ოფიციალური ტელეარხის ან პერიოდული გამოცემის მიერ იყოს განცხადებული. მეთოდოლოგიურ შეცდომას კი აუცილებლად მივყავართ პრინციპულ უსამართლობამდე.

საქმე ეხება რუსულ ინტერნეტ-გვერდებზე გამოქვეყნებულ გულშემატკივართა, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, ქომაგთა აზრებს საქართველოს ნაკრების გამარჯვებასთან დაკავშირებით. ვნახოთ რამდენიმე მათგანი.

რუსი "ბალელშჩიკების" მიერ გამოთქმული აზრები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. აი, მეტოქის მიმართ ბოღმითა და გესლით აღსავსე ტირადა:

"**ღმერთო რამდენი ხაჩიკა გამოვიდა ღამით ქუჩებში. მახინჯებს ბედნიერება ეწვიათ... მათ მოუგეს თავიანთ ბატონებს, რომლებსაც ვერ იტანდნენ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს რუსული ფეხბურთის ჩავარდნაა, თქვენთვის კი საკუთარ თავზე მაღლა ახტომა, თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. მიდით, ალეკოებო, გიორგებო და სხვებო, გაიხარეთ. მაგრამ, იმავდროულად, იმაზეც იფიქრეთ, თუ რა გელით მოსკოვში ჩვენს ჰიმნზე სტვენისა და ჩვენი ფეხბურთელების ჩაქოლვის გამო. ჯობს, საერთოდ არ ჩამოხვიდეთ!**".

ესეც საკუთარი გუნდის მიმართ იგივე გრძნობების გამოხატულება:

"**სირცხვილი!!! თხებო!!! დებილებო!!! უნიჭოებო!!! უნიათოებო!!! შეუძლებელია ჩვენს ნაკრებზე რაიმე კარგი თქვა**".

სიტუაციის ობიექტურად განხილვის მცდელობა:

"**ამ მარცხის შემდეგ ჩვენ უფრო მეტს გვაკრიტიკებენ, ვიდრე ალბანეთთან მატჩის შემდეგ. თუმცა, ქართველები ალბანელებზე უკეთ თამაშობენ ფეხბურთს**".

მეტოქის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება:

"**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ვქომაგობდი... ვულოცავ ყველა ქართველ გულშემატკივარს!!! დღეს თქვენი ზეიმია!**".

ჯერ უმნიშვნელო შენიშვნით დავიწყოთ. რუსული "козлы" ქართულად არ უნდა ვთარგმნოთ როგორც "თხები". ეს რუსული "ტერმინი" უფრო "ახვართან", "რქიანთან" ან "ქაჯთანაა" მიახლოებული, ოღონდ უფრო მდიდარია კონოტაციებით: ასეთი ახვარი ბრიყვიც უნდა იყოს და ხელმოცარულიც. ისე კი, კონტექსტიდან გამომდინარე, ყველაზე კარგი თარგმანი, ალბათ, "ფინაჩებო!" იქნებოდა.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი პრეტენზიებიც მაქვს ამ ტექსტთან. მოყვანილია 14 მოკლე თვალსაზრისის თარგმანი. ეს თვალსაზრისები ისე ფარავს შესაძლებლობათა სრულ დიაპაზონს, რომ უპირატესობას ვერც ერთს ვერ მიანიჭებ. სწორედ აქაა პუბლიკაციის პრინციპული შეცდომა. პარადოქსულია, რომ ეს შეცდომა სწორედ მაქსიმალური ობიექტურობისკენ სწრაფვაში მდგომარეობს:

სხვას რას ველოდით ფეხბურთის რუსი მოყვარულებისაგან? აქ ხომ ვერც ერთმა თვალსაზრისმა ვერ გადასძალა — მაშ რატომ იყო საინტერესო შეხედულებათა ეს რეალურად უსახური სპექტრი, რომელიც ერთი ერთეულითაც ვერ გასცილდა მოსალოდნელს და სარკესავით აირეკლა რუსი საფეხბურთო აუდიტორიის სოციალური შედგენილობა. ეს შედგენილობა გვაინტერესებდა? ვის მიმართავს ეს სტატია? რა სიმებს ეძებს მკითხველში?

რადგანაც ობიექტურად მოყვანილ საინტერნეტო შეტყობინებათა სასწორი არსაითკენ არ იხრება, ერთი რამ გვრჩება: პუბლიკაცია ჩვენში ყველაზე პრიმიტიულ, შეიძლება ითქვას, ცხოველურ პატრიოტიზმს გულისხმობს. დახე, უჯიშოებს, როგორ გამწარდნენ! ამ მამულიშვილურ ექსტაზში კი ვინ შეამჩნევს, რომ ყველაზე აგრესიული ის რუსია, რომელიც ქართველებსა და სომხებს ვერც კი არჩევს ერთმანეთისგან. ღმერთმანი, ამგვარს რომ კეთილი სიტყვა გამოემეტებინა, მეწყინებოდა კიდეც.

მერწმუნე მკითხველო, მშვენივრად ვგრძნობ, რომ დანის პირზე დავდივარ და იქნებ შენც შეგაცბუნა ჩემმა პოზიციამ. მაგრამ ამ პოზიციის საფუძველი თვით "24 საათმა" გამოხატა 1 მაისის ნომერში: **აკა ტონია**, *ეს გამარჯვება საქართველოს სჭირდებოდა!* აქაც იგივე საზეიმო რიტორიკაა: "**ცაში მაშხალებს ისროდნენ, თბილისის ქუჩებში ათასობით გულშემატკივრის მსვლელობა მოეწყო. პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელს რამდენიჯერმე გააწყვეტინეს სიტყვა ტაშით, მოწინააღმდეგე გუნდის თავკაცი კი საერთოდაც არ გამოცხადდა... ურთულესი ამოცანაა, დაწერო იმ მატჩზე, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა ჩვენს თავებში**". იქნებ იმიტომ, რომ ფუტურო თავები გვქონია?

მაგრამ განვაგრძოთ: "**როგორც იქნა, გამოჩნდა შუშაკი, ტაში! მასთან ერთად, როგორც იქნა, ჩვენც მოვახერხეთ დარბაზში შეღწევა და პრესკონფერენციაც დაიწყო. ჩვენ ისევ ტაშს ვუკრავთ, შუშაკი კი სიგარეტს აბოლებს და ქართულ ენაზე მადლობას გვიხდის... რუსების მწვრთნელი, ვალერი გაზაევი სადღაც გვემალებოდა... ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, ჩვენ ხომ გავიმარჯვეთ!**".

ვერ ხვდები, მკითხველო? ახლა მიგახვედრებ. სტატიის ბოლოს მოცემულია ერთი პატარა ცხრილი:

**სატურნირო მდგომარეობა მე-10 ჯგუფში**

| | |
|---|---|
| შვეიცარია | 8 |
| რუსეთი | 6 |
| ალბანეთი | 5 |
| ირლანდია | 4 |
| **საქართველო** | 4 |

ახლა, ვგონებ, უფრო გასაგები გახდა, რისი თქმაც მინდა. სპორტული აზარტისა და სიხარულის წილი ამ აყალ-მაყალში, როგორც ვხედავთ, არა მარტო მინიმალური, არამედ საეჭვოცაა. რა ალბათობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მთელი ეს ზეიმი მხოლოდ ჯავრის ამოყრითა და პრიმიტიული ინსტინქტების გამოშვებით იყო განპირობებული? თუ იმ ტაქსის მძღოლებს დავეკითხებით, რომლებსაც გამარჯვების სიხარულით აღტყინებულმა ქომაგებმა შუშები ჩაუმტვრიეს ("გავიმარჯვეთ, ბიჭო! შენ რა ფულის კეთება გინდა, უფასოდ უნდა გვაკატავო! გაიგე, შე ... !"), მაშინ ეს ალბათობა ას პროცენტს დაუახლოვდება. აბა, სხვა რომელიმე ქვეყნისთვის მოეგოთ 1 : 0. მაშინ რა მოხდებოდა? ასევე გულუბრყვილოდ გაამჟღავნებდა თავის მიამიტ აღტაცებას შუშაკის წინაშე თბილისის მერი, **ვანო ზოდელავა?**

მე კი ვიკითხავ — ქვეყანა თავზე რომ დაგვექცეს, გამოვა ქუჩაში ამდენი ადამიანი? როცა იგივე რუსები კოდორის ხეობას ბომბავდნენ, სად იყვნენ საქართველოს პატრიოტები? თუ ორი კინკილა "ენჯეოშნიკის" მიერ მიღებული ან მისაღები გრანტისათვის რუსეთის საელჩოს წინ გამართული აქცია განსაზღვრავდა ჩვენი პატრიოტიზმის დონეს?

ნუთუ მართლა ასეთი პრიმიტიულები ვართ? ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, **დანიელს** რომ დავუჯეროთ, ნამდვილად ასე გამოდის. აი, 29 აპრილს გამოქვეყნებული სტატია — **ზაზა ფაჩუაშვილი**, *გამოცხადება მახათას მთაზე*. წავიკითხოთ: „**ორიოდე წლის წინ ვაზისუბანში ხმა გავარდა, ადამიანს ღმრთისმშობელი გამოცხადებია. როგორც ამბობდნენ, ერთ-ერთ მანდილოსანს ჰქონდა ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის ხილვა**". ნეტა ვინ იყო ეს მანდილოსანი? როგორც ეტყობა, ეს ინფორმაცია მხოლოდ ისეთ გაზეთში თუ დაიწერება, როგორიც, მაგალითად, „ერი და ბერია", თორემ „24 საათის" ფურცლებზე ამ გამოცხადების სრული აღწერა ნამდვილად დისონანსში შევიდოდა გაზეთის დონესთან. ახლა კი თვით მაღალყოვლადუსამღვდელოესს მოვუსმინოთ: „**გამოცხადებებისადმი საზოგადოებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. ერთი ნაწილი მეტისმეტად კრიტიკულია, მეორე — მეტისმეტად აღტაცებული. არც ერთი უკიდურესობა არ ვარგა. მიუღებელია ათეისტური სკეფსისიც და მოვლენის გაფეტიშება, ეგზალტაცია. ასეთ დროს ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ზომიერება და სიფრთხილე, რათა მოვლენის სწორი შეფასება მოვახდინოთ**". მეუფეო, რატომ მაინცდამაინც ათეისტური უნდა იყოს სკეფსისი? ნუთუ ქრისტიანულ სკეფსისზე არაფერი გსმენიათ? მე წამიკითხავს **გულნარა კუკულაძის** გამოცხადების ტექსტი და, უნდა გითხრათ, მან ვერ დამარწმუნა. არა მგონია, ღვთისმშობელი ჟირინოვსკის ყაიდის პროპაგანდისტების კვალზე ჯერ იმას ამბობდეს, საქართველოს მესამე მსოფლიო ომის უბედურება დაატყდება თავს, რადგანაც ამერიკას საჰაერო სივრცე შესთავაზაო, მერე კი იზიდას ან დემეტრას მსგავსად ტაძრის აგებას ითხოვდეს, თანაც მხოლოდ აგურით, და არა რკინაბეტონით.

არც ხალხური აღიარება და თაყვანისცემაა ყოველთვის ჭეშმარიტების გარანტია. თავის დროზე, XIII საუკუნეში კათოლიკური ეკლესია ბრმად გაჰყვა ხალხის ნებას და ასე წარმოიშვა განსაწმენდელის დოგმატი. სკეფსისზე რომ უარი თქვა ჩვენმა ეკლესიამ, ეს იმთავითვე ცხადია, მაგრამ გაფეტიშებასა და ეგზალტაციას რა დაუპირისპირა, მაინცდამაინც ვერ გავიგე. ჩვენ იმასაც არ გვეუბნებიან, ვინ ლოცულობდა მახათას მთაზე ორი წლის განმავლობაში. მხოლოდ იმას ამბობენ, ნებისმიერ ამინდში ადიოდნენო.

ამასობაში კი მიტროპოლიტი დანიელი განაგრძობს: „**მახათას მთაზე უკვე ერთი წელია, რაც ასკეტურ პირობებში მოღვაწეობს სამი ბერი. მათ სულ რამდენიმე თვის წინათ აიტანეს ვაგონი, თორემ ისე მოშიშვლებულ ადგილზე ერთ მიტოვებულ სადგომში იყვნენ. ღმერთის ნების გარეშე ისინი ამდენს ვერ შეძლებდნენ**". რამდენადაც ვიცი, ბერი იღუმენისადმი მორჩილების აღთქმას დებს. ვისი კურთხევით იყვნენ ეს ბერები ასეთ პირობებში? ან რატომ არ იზრუნა მათზე დედა ეკლესიამ და ამგვარი „ექსპერიმენტისათვის" გასწირა? თუ ფრანჩესკო ასიზელის მსგავსი ღვაწლი იკისრეს უმწყემსოდ დარჩენილმა ძმებმა? იქნებ მართლმადიდებლობის წიაღშიც ვიხილავთ ორდენებისა და კონგრეგაციების ჩამოყალიბებას? მგონი, საქმე უფრო მარტივად იყო: ეკლესიამ თავიდანვე, ორწლიანი ექსპერიმენტის დაწყებამდე დადებითად გადაწყვიტა გულნარა კუკულაძის გამოცხადების საკითხი, თორემ იმ ბერებს იქ არავინ გააჩერებდა.

ასეა თუ ისე, მსგავსი არგუმენტაცია ნამდვილად პრიმიტიული აუდიტორიისათვისაა განკუთვნილი. ნუთუ მართლაც ასეთი პრიმიტიულები ვართ?

შეიძლება, მართლაც, ასე იყოს, მაგრამ გაზეთმა ნამდვილად არ უნდა გაუყადროს თავი ამ ატავისტურ ინსტინქტებს. მით უმეტეს, გაზეთმა, რომელშიც ასეთი საჭირო და მწვავე მასალა შეიძლება გამოქვეყნდეს, როგორც **შოთა უტიაშვილის** მიერ მომზადებული ინტერვიუ ეი-ი-ეს-ის საგარეო ურთიერთობათა უფროსთან, **უილიამ უიკერთან** (1 მაისი, *თუ საქართველოს არ უნდა უცხოური ინვესტიციები, მაშინ ასეც უნდა თქვას*). აქ რუს "ბალელშჩიკებზე" არანაკლებ მწვავე, მაგრამ ამავე დროს, ჩემი პირადი დაკვირვებითაც სრულიად ობიექტური თვალსაზრისია გამოთქმული საქართველოს შესახებ: "**ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომელსაც მე კარგად ვიცნობ, არის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება კორუფციას, ბიუროკრატიას. საქართველოში ამას ემატება საბჭოური მემკვიდრეობა. როგორც ვხვდები, უფროსი თაობის ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს, უბრალოდ, არ ესმის, რა სჭირდება ბიზნესს. თუ ამ ყველაფერს შევაჯამებთ, მივიღებთ ვითარებას, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნების გაუარესებულ ვარიანტს წარმოადგენს**".

სამწუხაროდ, ამ ვითარების გამოსასწორებლად ქუჩაში არავინ გამოვა და გამოცდილი პროფესიონალის ხმაც ჩვენი სიყრუის უდაბნოში ჩაიკარგება. როგორც ვხედავთ, შუქით დავიწყეთ და შუქითვე ვამთავრებთ. ოღონდ ესაა, ჩვენი ბინების გარდა, სინათლე ჯერ ჩვენს თავებს სჭირდება...






ბიძინა მაყაშვილის სვეტი



# ფეხბურთი

ფეხბურთს მსოფლიოში ყველა სხვა სპორტზე მეტად ეთაყვანებიან. ის თვით ისეთ ქვეყნებშია პოპულარული, სადაც თამაში არ იციან. მაგალითად, როცა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მარადონამ დისკვალიფიკაცია მიიღო, ბანგლადეშში ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ დემონსტრაციები ეწყობოდა. ისეთ ქვეყნებში კი, სადაც თამაში იციან, მაგალითად ბრაზილიაში, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, პელეს განათლების სამინისტრო, მისთვის ყველაზე ძვირფასი, მეოთხე ოქროს მედლით აჯილდოებს: როცა პელეს ავტობიოგრაფიული წიგნი გამოვიდა, უამრავმა უწიგნურმა ბრაზილიელმა წერა-კითხვა ისწავლა, რათა საკუთარი თვალით წაეკითხათ ის, რაც ისედაც მშვენივრად იცოდნენ.

ანალოგიურ მედალს არ დავიშურებდი აკა მორჩილაძისთვის, რომელიც მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს საფეხბურთო მესვეტის და პოპულარული მწერლის როლებს. ვერ გეტყვით, რამდენად წაადგა მისი სვეტები ჩვენი ფეხბურთელების ინტელექტუალური კოეფიციენტების ზრდას, მაგრამ ბავშვებმა რომ კომპიუტერული თამაშების გარდა წიგნიც აღმოაჩინეს, ფაქტია.

მიუხედავად იმისა, რომ უწიგნურობის პრობლემა ჩვენთან ისე მწვავედ არასდროს მდგარა, როგორც ბრაზილიაში, გაყიდული წიგნების რაოდენობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ნაწილობრივ სწორედ ამ მდგომარეობის გამოსწორებას და ნაწილობრივ ქართველი მწერლების მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას ისახავდა მიზნად ლიტერატურული პრემიის, „საბას“ მინიჭების ცერემონიალი. იმისგან დამოუკიდებლად, რომ მწერალთა ნაწილი პრემიისადმი ნეგატიურად იყო განწყობილი, რაც, ძირითადად, ყვითელი პრესის ინტერესის ჩარჩოებს ვერ გასცდა, „საბამ“ წარმატებით იმუშავა ჩვენი თანამემამულეების მენტალიტეტზე და კარგი საჩუქარი გახდა ლიტერატურის მოყვარულებისათვის.

რაც შეეხება ფესტივალ „საჩუქარს“, რომელიც უკვე მეშვიდე წელია, უფორიაქებს გონებას ხელოვნების მოყვარულებს, წელს ისეთი მასშტაბური არ გამოდგა, როგორც ადრე იყო ხოლმე. ორ კვირაზე გაწელილი რამდენიმე სპექტაკლი, ერთი დი-ჯეი, ანატოლი ვასილევი და ნიკა წერეთელი. რას იზამ, წელს პატარა საჩუქრით დავკმაყოფილდეთ. საინტერესოა, რითი ერთობიან ბერძენი, იტალიელი და რუსი თეატრალები, მითუმეტეს, რომ მომავალი კვირა დიდი კულტურული მრავალფეროვნებით არ უნდა გამოირჩეოდეს.

თუმცა, ამ მხრივ არც გასული კვირა იყო დიდი საჩუქარი. თვით გამოფენებიც კი, რომლებიც ხანდახან დღეში რამდენიმე იხსნება ხოლმე, ამ კვირაში ძალიან მეჩხერად იყო წარმოდგენილი. მეორეს მხრივ, შეიძლება ასე ჯობდეს კიდეც. საქმე ის არის, რომ საგამოფენო პრაქტიკამ ჩვენში ცოტა ერთფეროვანი ხასიათი მიიღო და თითქოს თავის თავში ჩაიკეტა: იგივე მხატვრები, იგივე მნახველები, იგივე ფურშეტი; მათხოვრები და მუქთა ბუტერბროდსა და ჭიქა ღვინოზე შეხეტიალებული ლოთებიც კი ყველგან ერთიდაიგივენი არიან (ეს უკანასკნელი ფენა, ფაქტობრივად, 70-ანი წლების „ქელეხისტების“ „საპრეზენტაციო“ ვერსიას წარმოადგენს). ერთადერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, თუ რომელ თაობას ეკუთვნის გამოფენილი მხატვარი: დარბაზში თაიგულების, შედარებით იაფფასიანი პარფიუმერიის სურნელის და რეტრო პიჯაკების სიმრავლით იოლად მიხვდებით, დღეს 90-ანელი „ტუსოვშიკი“ კი არ იფინება, არამედ, „დაკარგული თაობის“ კიდევ ერთი წარმომადგენელი. მაგრამ, ეს ყველაფერი მხოლოდ გახსნის დღეს, ერთი ან ორი საათის განმავლობაში (სანამ ღვინო ან შამპანური არ გათავდება). დაწყებული მეორე დღიდან, ერთი კვირის განმავლობაში, სანამ ექსპოზიციას არ ჩამოხსნიან, გალერეაში შემთხვევით მოხვედრილი, გზააბნეული უცხოელი ტურისტის, ან წვიმას თავშეფარებული, შეყვარებული წყვილის მეტს, ვერავის ნახავთ. შეიძლება ამ შემთხვევაში ღირდეს, რომ გალერისტებმა უფრო ხარისხზე იზრუნონ, ვიდრე რაოდენობაზე.

მუსიკალური თვალსაზრისით, კვირა შედარებით თანაბარი გამოდგა: ჩვეული რუსული პოპ-ნაგავი „დისკომაფია“, „ჯეოსელის“ მეშვეობით ჩამოყვანილმა უმაღლესი დონის ინდოელმა პერკუსიონისტმა, ტრილოკ გურტუმ გაანეიტრალა.

ამ კვირამ ერთი ხალხური სიბრძნე - შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო - გამახსენა. ჩვენი გაზეთის ფოტოგრაფებზე მოგახსენებთ: რაც მაგათ ჩვენი ჟურნალისტები აგინებენ, დიდი ხანია კამერები გადაგდებული უნდა ჰქონდეთ. ისინი კი თითქოს ჯიბრზე - კონკურსს არ სტოვებენ, რომ იქიდან ჯილდოთი არ დაბრუნდნენ. უკანასკნელად ეს IREX-ის კონკურსზე მოახერხეს - სამი ნომინაციიდან ორში გაიმარჯვეს.

სამწუხაროდ, იგივე ანდაზას ვერაფრით ვერ მოვარგებთ ალექსანდრე ჩივაძეს. მაინც უცხოელი მწვრთნელი დასჭირდა საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს მეოთხე თამაშში პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად და ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე მტკიცედ დამკვიდრებას. მართალია, ალბანეთში დამარცხებულ რუსეთთან მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას გადაჭარბებული ემოციებით შევხვდით, მაგრამ ამდენი იმედგაცრუების შემდეგ... თანაც ხალხს იმედი მიეცა: თუ თერთმეტმა კაცმა შოთა არველაძის და გიორგი ქინქლაძის გარეშე რაღაც მოახერხა, 5 მილიონს ედუარდ შევარდნაძის გარეშე რა უნდა გაუჭირდესო?!




# „სიყვარული - მუსიკაში აჟღერებული“

## კონსერვატორიის დარბაზში ქართული გალობის ფესტივალი გაიმართა

მადი სერებრიაკოვა

“ქართული გალობა არის სიყვარული უფლისადმი, ხოლო ქართული სიმღერა სიყვარული მოყვასისადმი – მუსიკაში აჟღერებული” – საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორის ამ სიტყვებით გაიხსნა გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართული გალობის პირველი ფესტივალი. ღონისძიება, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა, კონსერვატორიის დარბაზის ფოიეში გამოფენით გაიხსნა. ფესტივალი განსაკუთრებული ხალხმრავლობითაც აღინიშნა. დამსწრეთა შორის კი თავად ილია მეორე და საქართველოს ეკლესიის სხვა მნიშვნელოვანი პირებიც იყვნენ.

ფესტივალის ორგანიზატორი - საპატრიარქოს გალობის ცენტრი 1998 წლიდან ფუნქციონირებს. გარდა საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალების კვლევისა, ცენტრის წევრები გალობის შემსწავლელ საქმიანობასაც ეწევიან. მისი ინიციატივით გამოიცა რამოდენიმე კრებული (მათ შორის, კარბელაშვილების კატალოგი), გასულ წელს კი ცენტრის გუნდმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში რუსეთის საპატრიარქოს მიერ მოწყობილ მგალობელთა შეკრებაში. გუშინდელი საღამო უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ქართული სამგალობლო ტრადიციების გააქტიურებული შესწავლისა და პოპულარიზაციის ერთგვარ დასკვნით ღონისძიებას წარმოადგენდა. მან ამ ტრადიციის როგორც ვიზუალურ, ისე საშემსრულებლო მასალას მოუყარა თავი. მეორეს მხრივ, გალობის ცენტრმა წარმოადგინა მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც საქართველოში სამგალობლო სკოლის დაარსებას გულისხმობს. ეს უკანასკნელი, ქართული გალობის ყველა კილოს პროფესიული შესწავლით იქნება დაკავებული.

რა თქმა უნდა, ფესტივალი გუშინ კონსერვატორიაში მოწყობილ ღონისძიებას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ეს უფრო ერთგვარი საჯარო ლექცია-სემინარი იყო, რომელიც ქართულ საეკლესიო სამგალობლო სკოლასა და ხალხური სიმღერის ტრადიციაში გაუთვითცნობიერებელი მსმენელისათვის ოდნავ რთული აღსაქმელიც იყო. მომხსენებლები ქართული გალობის ცალკეულ ასპექტებსა და ისტორიის ღრმა დეტალებზე საუბრობდნენ, ხოლო მათ გამოსვლებს შორის, ანჩისხატის ტაძრის გუნდი საგალობლებს ასრულებდა. მომხსენებლებიც და შემსრულებლებიც შეეცადნენ გარკვეულწილად მოეცვათ ქართული გალობის მნიშვნელოვანი სკოლები: გელათის, შემოქმედის, ტაო-კლარჯეთის და


ანჩისხატის ტაძრის გუნდი

ქართლ-კახეთის (ე.წ. კარბელაანთ) კილოები.

ქართულ სამგალობლო ტრადიციას, ფაქტობრივად, ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ჩაეყარა საფუძველი. აუთენტური, სრულიად ორიგინალური ქართული გალობა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი თანამედროვე, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლეთ ქრისტიანული ტრადიციებისგან, საკმაოდ გვიან იქნა ხელახლა აღმოჩენილი და დამკვიდრებული ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში. გუშინდელი საღამო, იმ მოღვაწეთა და მათი მიღწევების გახსენებასა და ქართული გალობის ისტორიის ერთიანი ხაზის ჩამოყალიბებასაც ისახავდა მიზნად. მომხსენებელთა შორის იყვნენ მღვდელ-მსახურნიც და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელნიც. მათ მიერ მოთხრობილი დრამატული ისტორიები, ძირითადად, მე-19 – მე-20 საუკუნის მოვლენებს უტრიალებდა, როდესაც ქართული გალობის სანოტო სისტემაზე გადატანა და სისტემატიზაცია დაიწყო. მნიშვნელოვანია, რომ მანამდე, ქართული გალობა ნევმური და ე.წ. ჭრელი სისტემით იყო დაცული (ამ უკანასკნელს არ მოეპოვება ანალოგი მსოფლიოში). ორივე მათგანი სადღეისოდაც ამოუხსნელია. პირველი ჩანაწერები მე-9 – მე-10 საუკუნეს ეკუთვნის. ეს უნიკალური ხელნაწერები გუშინ დარბაზის ფოიეში იყო გამოფენილი. აღსანიშნავია, რომ ქართული ხელნაწერების საერთო რაოდენობის j-ს სწორედ მუსიკალური ჩანაწერები, საგალობლები წარმოადგენს. ეს ფაქტი კი ქართული სამგალობლო სკოლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

აქვე ძველი ჩანაწერების უკანასკნელ მცოდნეთა (ძმები კარბელაშვილები და სხვანი) უნიკალურ მასალებსაც შეხვდებოდით. საკმაოდ ვრცელი საარქივო ფოტო-გამოფენა კი ისეთ მოღვაწეთა უნიკალურ ფოტოებს მოიცავდა, როგორებიც რაჟდენ ხუნდაძე, ექვთიმე კერესელიძე, ფილიმონ ქორიძე, ალექსი შუშანია და სხვები იყვნენ.

საღამოს განმავლობაში დაგეგმილი იყო აუდიო და ვიზუალური მასალის დემონსტრირებაც. თუმცა, ეს უკანასკნელი ტექნიკური ხარვეზების გამო შეუძლებელი გახდა. სამაგიეროდ, ცოცხალი გუნდის გვერდით აჟღერდა ისეთი იშვიათი ისტორიული ჩანაწერები, როგორიც მაგალითად არტემ ერქომაიშვილის გალობა გახლდათ. ეს უკანასკნელი ქართული სამგალობლო სკოლის “უკანასკნელ მოჰიკანად” ითვლება, იგი შემოქმედის სკოლის ზეპირი ტრადიციის ბოლო მცოდნე იყო, რომელმაც ზეპირად იცოდა 2 000-მდე ქართული საგალობელი. ცნობილმა ფოლკლორისტმა კუკური ჭოხონელიძემ გაიხსენა 60-იანი წლების ის ეპიზოდები, როდესაც კონსერვატორიაში ერქომაიშვილის მიერ შემონახული საგალობლების ჩანაწერებს აკეთებდნენ. უკვე მოხუცებული მომღერალი ჯერ ერთ ხმას იწერდა, ხოლო შემდეგ თავისსავე ჩაწერილს დანარჩენ ორ ხმას ადებდა. ერქომაიშვილმა საგალობლების ჩაწერის განსაკუთრებული ტექნიკაც იცოდა, თუმცა ეს უკანასკნელი მისი ახალგაზრდა კოლეგებისათვის მაინც გამოუცნობი დარჩა.

მოგვიანებით, კონსერვატორიის პირველმა გუნდმა, რომელმაც იმ პერიოდში საეკლესიო მუსიკის შესრულება გაბედა, ეს საგალობლები არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვშიც წარმოადგინა. საგალობელთა ჰარმონიამ მაშინ მუსიკალური წრეები აღაფრთოვანა. ერთ-ერთ კონფერენციაზე კი ჭოხონელიძემ ისეთი საგალობლების დემონსტრირებაც მოახდინა, რომელიც მეოცე საუკუნეში, ახალი ვენის სკოლის მიერ “აღმოჩენილი” ატონალური სისტემის პროტოტიპს წარმოადგენდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული გალობის ფესტივალის ფინალი: აქ ანჩისხატის გუნდს მათი ახალგაზრდა კოლეგებიც შეუერთდნენ. საბოლოოდ, ხუთმა გუნდმა ერთობლივად შეასრულა დასკვნითი ნომერი. ეს უკანასკნელი, როგორც სანახაობრივი, ისე მუსიკალური თვალსაზრისით იმდენად ამაღელვებელ მოვლენად იქცა, რომ ერთბაშად გადაწონა გუშინდელი საღამოს ცოტა გაწელილი, ზედმეტად სამეცნიერო ხასიათი.

# ჯაზი

## ძალიან სუბიექტური ამბავი

ანა კორძაია-სამადაშვილი

არ ვიცი, ასაკის ბრალია თუ ჩემი ფხუკიანობის დამსახურება: ფამილარობას ვერ ვიტან, სხვებთან მიმართებაშიც. განსაკუთრებით, როცა ამგვარი დამოკიდებულება სრულიად უმიზეზო სნობიზმითაა ნაკარნახევი. სასტიკად ვღიზიანდები: “აუ, ჩუფჩიკა რა მაგარია”, ან “თათუზა უკრავს”. თავად ეს ბატონები, ვიცი, არ ბრაზობენ, მე კი ვბრაზდები. თან, როცა ამ სიტყვების წარმომთქმელს მიაჩნია, რომ ეს “ნებრეჟნად” და ოდნავ ჩლიფინით უნდა ბრძანოს. ჭირს ხოლმე. დღემდე ვერ გამირკვევია, მიმკური კუნთების დამბლა აქვთ, თუ წესია ასეთი და მე არ ვიცი.

ჩემი ემოციები, პრინციპში, არაფერ შუაშია. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყოველ პარასკევს და შაბათს, ვაკეში, ყოფილ კინოთეატრ “ყაზბეგში”, რომელიც მერე კლუბი “ყაზბეგი” გახდა, მერე დაიკეტა და მერე ისევ გაიხსნა, ოღონდ ახლა “ჯაზის სახლი” ჰქვია, ბატონი თამაზ ყურაშვილი უკრავს. თან ეს ერთადერთი კლუბი ყოფილა, რომელშიც ის და მისი ჯგუფის წევრები უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში გამოდიან.

აქ, განსხვავებით მრავალი სხვა თბილისური კლუბისგან, შესასვლელი ბილეთის ფასი ჰუმანურია. თან დანამდვილებით იცი, რა გელის. სხვაგან ამის გარკვევა ჯერჯერობით ვერ მოვახერხე. მაგალითად, ერთ შაბათ საღამოს მეგობარ ქალთან ერთად (მამასისხლად) ისეთ კლუბში აღმოვჩნდი, სადაც, როგორც მითხრეს - და ინტერიერსაც ისეთი პირი უჩანდა - ფრიად საშუალო დონის შემსრულებლების გამოსვლის შემდეგ დიდი ცეკვა და ხალისი უნდა ამტყდარიყო. ნურას უკაცრავად. ცუდი მუსიკა კი არ იყო, უბრალოდ, მე სულ სხვა რამეს დამპირდნენ, და ცეკვა მინდოდა, წმიდა წყლის “პოპსა”, შაკირა და მსგავსნი, იქ კი ორი საათის განმავლობაში უკრავდნენ **ближний блюз**-ს...


თამაზ ყურაშვილი

იმ კლუბში კი, რომლის შესახებაც მოყოლას ვცდილობ, მსგავს გაუგებრობაში ნამდვილად არ აღმოჩნდებით. მუსიკის ხარისხის გარანტია, - ალბათ, დამეთანხმებით - თავად ბატონი თამაზის სახელია. ამ კლუბში უკრავენ ჯაზს, ნამდვილ, კარგ მუსიკას. ძალიან ვისიამოვნე, მიუხედავად იმისა, რომ ჯაზის „ფანობას“ ვერაფრით დავიბრალებ. ოდესღაც წავიკითხე, რომ ამ მუსიკის მსმენელს გარკვეული მომზადება სჭირდება. ალბათ, მართალია, რა ვიცი. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მეც კი, ჩემი საშუალო, შვიდწლიანი მუსიკალური განათლებით, ბატონ თამაზის საღამოზე ბედნიერი ვიყავი, და, ალბათ, ეს მაინც მთავარია, არა?

როგორც “ყაზბეგის” მუდმივმა სტუმრებმა მიამბეს, ბატონი თამაზის ჯგუფთან ერთად, რომლის შემადგენლობაშიც დათო ჯაფარიძე, დათო აბულაძე და ზურაბ რამიშვილი შედიან, ზოგჯერ მაია ბარათაშვილიც გამოდის ხოლმე. სამწუხაროდ, მე ამ სიკეთეს ავცდი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი წინაა.

შესაძლოა, ყველა დარბაზში მყოფი ჯაზის თავგადაკლული ტრფიალი არც არის ხოლმე. კლუბს სხვა – ბატონი ჯაზმენები მაპატიებენ, - არანაკლებ მნიშვნელოვანი ღირსებებიც აქვს: ცოტა ეკლექტური, მაგრამ ძალიან მყუდრო ინტერიერი; მომსახურე პერსონალი ნამდვილად მოწონდების სიმაღლეზეა, ილიმება და სახეზე არ აწერია, რომ დაგვიანებულ სტუმარს სიამოვნებით ჩასცხებდა ლუდის კათხას – მოგეხსენებათ, ასეთი გამომეტყველების მქონე მიმტანებს ბევრგან შეხვდებით. გარდა ამისა, საზოგადოება, რომელიც იქ იკრიბება, უაღრესად სიმპატიურად მეჩვენა – სხედან, მუსიკას უსმენენ, სადღეგრძელოებს არ გასძახიან, არც უტიფრები არიან და არც აგრესიულები, არამედ პირიქით.

ჩანს, ჩემს აზრს მრავალი იზიარებს, რადგან იმ დღეებში, როცა ბატონი თამაზი უკრავს, დარბაზი სავსეა. ჩანს, დაგვაგვიანდა, და დიდხანს ვიდექით კარებში, სანამ რომელიღაცა ღვთისნიერმა ნაცნობმა თავის მაგიდასთან არ მიგვიწვია: в тесноте, да не в обиде...

ამდენის წერას ნამდვილად არ ვაპირებდი. უბრალოდ, ამ ჯაზის საღამოზე მოვხვდი – არაჩვეულებრივმა კაცმა დამპატიჟა. მაგრამ ყველას ხომ არ პატიჟებს ხოლმე არაჩვეულებრივი კაცი? ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი შთაბეჭდილებები უნდა გაგიზიაროთ – იქნებ თქვენც მოგინდეთ კარგი მუსიკის მოსმენა და “ჯაზის სახლში” ტკბილი საღამოს გატარება.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# ელბერს კონკურენციის არ ეშინია

ბოლო დროს გერმანულ სპორტულ პრესაში სულ უფრო აქტიურად მსჯელობენ მიუნხენის "ბაიერნის" მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ. უკვე ყველამ იცის, რომ ოტმარ ჰიტცფელდი და ფრანც ბეკენბაუერი სეზონის ბოლოს "დეპორტივოს" ჰოლანდიელი ფორვარდის, როი მაკაის შეძენას აპირებენ. სწორედ მაკაი იყო ის ფეხბურთელი, რომელმაც 2002-03 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე სამი გოლი გაუტანა ოლივერ კანს და "ბაიერნს" მოულოდნელი საშინაო მარცხი აგემა. მისი თამაში ისე მოეწონათ ბავარიული კლუბის ბოსებს, რომ მზად არიან, ყველაფერი გააკეთონ ჰოლანდიელი თავდამსხმელის გადასაბირებლად.

თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება და მაკაი "ბაიერნის" შინდისფერ მაისურს ჩაიცვამს, მიუნხენურ კლუბში ფორვარდთა შორის მწვავე კონკურენცია დაიწყება. ოტმარ ჰიტცფელდის განკარგულებაშია სამი სამხრეთამერიკელი ფორვარდი, რომლებიც, უკვე დიდი ხანია, "ბაიერნში" თამაშობენ და წარმატებითაც. მიმდინარე სეზონში ბრაზილიელ ჯოვანი ელბერს 16 გოლი აქვს გატანილი, პერუელ კლაუდიო პისაროს - 13. აქვეა პარაგვაელი როკე სანტა კრუსიც, რომელიც ჰიტცფელდის სიმპათიებით სარგებლობს. ჟურნალისტები და გულშემატკივრები ვარაუდობენ, რომ მაკაის მოსვლა გუნდში არეულობას გამოიწვევს, ჯოვანი ელბერი ადგილს დაკარგავს ძირითად შემადგენლობაში და იძულებული გახდება, მიუნხენიდან წავიდეს.

თავად ელბერი, ჯერჯერობით, არსად არ მიდის. ბრაზილიელ ფორვადს 2004 წელს უმთავრდება კონტრაქტი და სურს, კიდევ ერთი სეზონი "ბაიერნში" ითამაშოს. ელბერი ირწმუნება, რომ მაკაის კონკურენციის არ ეშინია, პირიქით, მოხარულიც კია, რომ "ბაიერნი" ასეთი ძლიერი ფორვარდის შეძენას აპირებს: "რა თქმა უნდა, კლუბმა უნდა იზრუნოს ახალი ფეხბურთელების შეძენაზე. მომავალი სეზონიდან "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნდება და ისევ ფავორიტთა შორის იქნება. რა უნდა მქონდეს იმის საწინაამდეგო, რომ გუნდი კარგი ფეხბურთელით გაძლიერდეს?" - ამბობს ელბერი.

მაკაის მოსვლა როკე სანტა კრუსსაც უხარია. 21 წლის პარაგვაელი მიიჩნევს, რომ კონკურენცია "ბაიერნის" მსგავს კლუბში ჩვეულებრივი მოვლენაა. "არაჩვეულებრივი იქნება, თუ მაკაი ჩვენთან ითამაშებს და წარმატების მოპოვებაში დაგვეხმარება. მე მასთან პრობლემები არ მექნება. "ბაიერნში" ადგილის მოპოვება ყოველთვის ძნელი იყო და ახლაც ასე იქნება. ეს სავსებით ბუნებრივია", - აცხადებს სანტა კრუსი, რომელიც ამ სეზონში, ალბათ, ველარ გავა მოედანზე. ფეხბურთელს მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და შაბათს ვერ შეძლო, "კაიზერსლაუტერნთან" მატჩი ბოლომდე მიეყვანა.

# სიმშვიდე კანის პროფესიულ და პირად ცხოვრებაში

ქარიშხალმა გადაიარა. სკანდალები და მღელვარება ჩაცხრა. ოლივერ კანის ცხოვრებაში სიმშვიდის ფაზა დაიწყო. კანს უკვე ველარ ხედავენ პირსინგებით დამშვენებული, "პარტიგერლ" ვერენას საზოგადოებაში, რომელიც მეტად კმაყოფილი იყო თავისი ძვირფასი ნადავლით. როგორც ჩანს, ბუნდესნაკრების კაპიტანს მობეზრდა თავაშვებული ქერა ლამაზმანი და ოჯახური სიმყუდროვე მოენატრა. მიუნხენელებმა უკვე არაერთხელ ნახეს მთელი ოჯახი ერთად: "ოლი", სიმონე და ორი პატარა - კატარინა და დავიდი. კანი სიამოვნებით სეირნობს ბავშვებთან და მეუღლესთან ერთად ბაღებში თუ პარკებში და ისე ნაზად ეფერება თავის ორი თვის ბიჭუნას, ჭორიკანა ჟურნალისტებმა აღარ იციან, რა იფიქრონ. ნუთუ "ოლი" და სიმონე ისევ შერიგდნენ?

ოჯახური ჰარმონიის პარალელურად, კანი პროფესიული წარმატებებითაც ტკბება. ბუნდესლიგის 31-ე ტურში "ბაიერნმა" ერიკ გერეტსის აღმავლობის გზაზე მდგარ "კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლა და პირველი მარცხი აგემა კრიზისიდან გამოსულ "ლომებს." ეს მატჩი ორი ფაქტორის გამო იყო მნიშვნელოვანი: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ "ბაიერნი" და "კაიზერი" გერმანიის თასის ფინალშიც ხვდებიან ერთმანეთს და შაბათს ერთგვარი წინასათასო რეპეტიცია გაიარეს. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ 31-ე ტურში ოლივერ კანი თავის მორიგ რეკორდს მიუახლოვდა: 3 მაისს მან ბუნდესლიგაში თავისი მე-400 მატჩი ჩაატარა. გერმანიის ჩემპიონატში ყველაზე მეტი მატჩი (602) ნათამაშევი აქვს ფრანკფურტის "აინტრახტის" ფეხბურთელს, კარლ ჰაინც კიორბელს, რომელმაც ფეხბურთს 1991 წელს დაანება თავი.

თანამედროვე ფეხბურთელებიდან კანს ბევრი უსწრებს: "ბორუსიას" კაპიტანი შტეფან როიტერი (468 მატჩი), "შალკეს" ოლივერ რეკი (471), ანდრეას მიოლერი (416), "მიონხენგლადბახის" მარსელ ვიტეცეკი (410). ასე რომ, კანს სრულ რეკორდამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 21 წლის წინათ...



1982 წლის 12 აპრილი. კიოლნი. გერმანია
გერმანიის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი
იუპ დერვალი და პაულ ბრაიტნერი.

# საბურთალოზე „ფოქს კიდსს" „მგლები" შეესივნენ

მიხეილ აბაიშვილი

"ფოქს კიდსის" მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ეკვატორს უახლოვდება. საქართველოს რამდენიმე ქალაქსა და რეგიონში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები. კახეთის რეგიონის თასის ფინალში, როგორც ძლიერი, ისე მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის, თამაშის უფლება მოიპოვეს ლაგოდეხისა და თელავის გუნდებმა. ვაჟებს შორის თელავის "ნადიკვარმა", რომელსაც კურირებს ტელეკომპანია "თანამგზავრი", 1:0 დაამარცხა ლაგოდეხის გუნდი და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. თანაქალაქელი ვაჟების მარცხის გამო რევანში აიღეს ლაგოდეხელმა გოგონებმა. "მაგრებმა" (ასე ჰქვია ლაგოდეხის გოგონათა გუნდს), რომელსაც "ფოქს კიდსის" ტურნირში ლაგოდეხის ტელევიზია წარმოადგენს, თელავის საქალაქო ტურნირში გამარჯვებული გოგონები დაამარცხეს და თვის ბოლოს ჩამოვლენ თბილისში, სადაც საქართველოს სხვა რეგიონების წარმომადგენლებს "ფოქს კიდსის" ფინალური ტურნირის, ჰოლანდიის საგზურს შეეცილებიან.

ამასობაში გამოვლინდნენ ის გუნდებიც, რომლებიც იმერეთის თასისთვის ქუთაისში იასპარეზებენ. ზესტაფონის (ტელეკომპანია "არგო"), ხონისა ("მეგა ტივი") და მარტვილის ("მეგა ტივი") შემდეგ იმერეთის თასის ფინალისტი გამოვლინდა სამტრედიაშიც (ტელერადიოპრესკომპანია "ზარი"). დღეს გაიმართება ქუთაისის საქალაქო ტურნირი, რომლის გა-



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ფოქს კიდსის" "მგლები"

მარჯვებულიც, ზემოხსენებული ქალაქების წარმომადგენლებთან ერთად, იმერეთის რეგიონის თასს გაითამაშებს. ქუთაისის საქალაქო ტურნირს ორგანიზებას უწევს ტელეკომპანია "ქუთაისი".

გაირკვა ის გუნდიც, რომელიც ქართლის რეგიონის "ფოქს კიდსის" თასის გათამაშებაში ბოლნისის ("მე-12 არხი") ღირსებას დაიცავს. ქართლის რეგიონის ფინალური ტურნირი გორში 7 მაისს გაიმართება.

თბილისში კი გუშინ და გუშინწინ საბურთალოს ზონალური ტურნირი ჩატარდა. თამაშებს უმასპინძლა ამბროლაურის ქუჩაზე ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ ამ ცოტა ხნის წინ აღდგენილმა მინისაფეხბურთო მოედანმა. "24 საათი" უკვე წერდა, რომ ორი დღის წინ გაიმართა მეოთხედფინალური მატჩები, ხოლო გუშინ გადამწყვეტი თამაშების - ნახევარფინალებისა და ფინალის ჯერი დადგა.

პირველ ნახევარფინალში "ფეოლა" და "მგლები" შეხვდნენ ერთმანეთს. "მგლებმა" თავისი სახელისთვის შესაფერისი აგრესიულობა გამოავლინეს და მეტოქის კარში 4 გოლი გაიტანეს. ბრაზილიელი მწვრთნელისა და იპოლიტე ხვიჩიას ცნობილი კინოგმირის სახელობის გუნდმა კი მხოლოდ ორი გოლის გატანა შეძლო და, ხვიჩიას "ფეოლასი" არ იყოს, პრინციპით - "წააგებ, გამოვარდები", გამოეთიშა კიდეც "ფოქს კიდსის" გათამაშებას.

მეორე ნახევარფინალი, რომელშიც "ორბიტა" და "სიხარული" გავიდნენ, მეტად დრამატული გამოდგა. პირველ ტაიმში გატანილი გოლით "სიხარულის" ფეხბურთელებმა გაიხარეს და ამ ერთბურთიან უპირატესობას თამაშის ბოლო წამებამდე ინარჩუნებდნენ. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 20 წამი რჩებოდა, როცა "ორბიტას" ნორჩებმა მატჩის გადამრჩენი გოლი გაიტანეს და თამაში ოვერ-ტაიმში გადაიყვანეს. ტურნირში "ოქროს გოლის" წესი მოქმედებს, მაგრამ ორ დამატებით ხუთწუთიან ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხა. დაინიშნა პენალტების სერია, რომელიც ზუსტად ისეთი სცენარით წარიმართა, როგორც ფეხბურთისთვის ლეგენდად ქცეული თამაშის - გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს შორის 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალის პენალტების სერია. პირველი 5-5 დარტყმიდან მეტოქეებმა თითო ვერ გამოიყენეს, რის გამოც ანგარიში ისევ საყაიმო - 5:5 დარჩა. სერია გაგრძელდა პირველ გაცუდებულ პენალტამდე და, გამარჯვების სიხარულთან ერთად, გერმანიის ნაკრების ხვედრი - ფინალისტობა - "სიხარულს" დარჩა.

თუმცა, გადამწყვეტ მატჩში "სიხარულის" ფეხბურთელებს აშკარად დაეტყოთ მომქანცველი ნახევარფინალით გამოწვეული დაღლა, რის გამოც, "მგლებთან" ვეღარაფერი გააწყვეს და მინიმალური ანგარიშით - 1:0 დამარცხდნენ.

დღეს გაიმართება გლდანის და ქუთაისის საქალაქო თამაშები.

# როგორ აბრალებდნენ ეფენბერგს ნარკომანობას

ნინო პირველი

*ვუერთგულოთ "ბილდს" და გავაგრძელოთ ფრაგმენტების კითხვა შტეფან ეფენბერგის ახალი წიგნიდან. მით უმეტეს, რომ "ეფეს" წინააღმდეგობებით აღსავსე ბიოგრაფია, მართლაც, ძალიან საინტერესოა ფეხბურთით გატაცებული ადამიანებისთვის. ამ სამყაროში ყველაფერი ხდება, მათ შორის ისიც, რომ სრულიად უდანაშაულო კაცს ნარკოტიკების მოხმარებას აბრალებენ.*

### "ული ჰიონესმა ტესტის გავლა მომთხოვა"

2001 წლის გაზაფხულზე, როცა ლევერკუზენის "ბაიერის" მთავარი მწვრთნელი ქრისტოფ დაუმი დოპინგ-სკანდალში გაეხვა და მისი საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცა, ბუნდესლიგის კლუბების ხელმძღვანელები შიშმა შეიპყრო. გუნდების ბოსები უკვე არც ერთ ფეხბურთელს აღარ ენდობოდნენ. არც იყო გასაკვირი. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ დაუმი ნარკომანი იქნებოდა?

"ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა ესპანეთში წასვლის წინ, სადაც მიუნხენელებს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩი ელოდათ მადრიდის "რეალთან", გუნდის კაპიტანი შტეფან ეფენბერგი თავისთან იხმო და სერიოზულად განუცხადა: "ფრთხილად იყავი, შტეფან, შენზე მიუნხენში ჭორები დადის, ძალიან ცუდი ჭორები. ამბობენ, რომ თურმე ნარკოტიკებს იყენებ", - ძალიან შეწუხებული ჩანდა ჰიონესი. სიცილი დავიწყე. ვიღაც იდიოტმა ულის დაურეკა და სისულელე უთხრა, მან კი დაიჯერა და ტესტის გაკეთება მომთხოვა. "უმჯობესი იქნება, თუ ექიმი თმის ანალიზს ჩაგიტარებს. რას იტყვი, თანახმა ხარ?" - მკითხა ჰიონესმა. რა უნდა მეთქვა, თავი დავუქ-



ული ჰიონესი და შტეფან ეფენბერგი

ნიე. იმდენად გაოცებული ვიყავი, რომ თავის მართლებაც ველარ შევძელი. საღამოს მარტინას დავურეკე და ყველაფერი მოვუყევი. შოკში ჩავარდა. "არავითარი ტესტი არ გაიკეთო, ეს ხომ სისულელეა!" - ყვიროდა ყურმილში. "რომ არ დავთანხმდე, უფრო მეტად შეეპარებათ ეჭვი. დაწყნარდი, ყველაფერი კარგად იქნება", - დავამშვიდე მარტინა და გუნდის ექიმ მიოლერ-ვოლფარტთან წავედი ანალიზის გასაკეთებლად. "ნუ ინერვიულებ, ვარცხნილობას არ დაგიმახინჯებთ, მხოლოდ ერთ ღერს მოგაჭრით", - მითხრა ექიმმა. "თუ გინდათ, სულ გადამპარსეთ, საეჭვოს მაინც ვერაფერს იპოვით", - არხეინად განვუცხადე და სახლში წავედი.

ორი კვირის შემდეგ ისევ შევიარე მიოლერ-ვოლფარტთან. "რა შედეგი აჩვენა ანალიზმა? ნარკომანი ვარ?" - ირონიულად ვკითხე. "არა, რა თქმა უნდა, არა. ეს ყველაფერი სისულელეა", - იყო პასუხი. მარტო მე კი არა, კარსტენ იანკერსაც მოუხდა თმის ანალიზის გაკეთება. მას თავი გადაპარსული ჰქონდა. ამ იდიოტური ანალიზის გამო კი იძულებული გახდა, თმა გაეზარდა. ხალხს ეგონა, იანკერმა იმიჯი შეიცვალა და ვარცხნილობის დაყენება უნდაო. მე სიცილით ვკვდებოდი, ხომ ვიცოდი, რისთვისაც იზრდიდა თმას კარსტენი", - წერს "ეფე".

### "ბაიერნში" მხოლოდ ერთი ნარკოტიკი არსებობს - ლუდი"

"ყველაფერი კარგად დასრულდა, არადა, შეიძლებოდა, ანალიზის პასუხი დადებითი ყოფილიყო, რადგან ერთხელ, მართლაც, გავსინჯე ნარკოტიკი - დიდი ხნის წინ, ფლორენციაში. ორი ფეხბურთელი მომიახლოვდა და რაღაც მომაწევინა, - ნუ გეშინია, უვნებელიაო. მოვწიე, მაგრამ ისე ცუდად ვიგრძენი თავი, რომ მეტად აღარ გამჩენია ამის სურვილი. ანალიზის გასაკეთებლად რომ წავედი, ეს შემთხვევა აღარც მახსოვდა, თორემ, ალბათ, ცოტას ვინერვიულებდი კიდეც.

"ბაიერნში" ჩვენ მხოლოდ ერთი ნარკოტიკი გვქონდა - ლუდი, რომელიც აკრძალული არ იყო.

2000 წელს, ლიონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, "ლიონთან" დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ, ფრანც ბეკენბაუერმა სასტიკად გამოგვლანძლა, არარაობანი ხართო. მატჩის მერე არაფრის ხალისი აღარ გვქონდა, ლუდს ვსვამდით და კარტს ვთამაშობდით. ჩემი ნომრის წინ უამრავი ბოთლი დაგროვდა. ვინმეს რომ შემოეხედა, ლოთები ვეგონებოდით. ჩემზე, როგორც კაპიტანზე, ბეკენბაუერის გაწყრომამ განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა. მეორე დღეს ბიჭები შევკრიბე და ვუთხარი: "ჩვენ ძალიან ძლიერები ვართ. თავი უნდა მოვიკლათ და ფრანცს დავუმტკიცოთ, რომ ჩვენზე კარგი არავინაა და სულ ტყუილად გვლანძღავს." ეს ჩვენი მიზანი იყო და მივაღწიეთ კიდეც - იმ სეზონში "ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო", - თავმომწონედ დასძენს "ეფე".

მინი-ფეხბურთი

# „იბერია 2000"-მა ტიტული შეინარჩუნა

მიხეილ აბაიშვილი

*ფუტზალში საქართველოს 2002 წლის ჩემპიონმა, თბილისის "იბერია 2000"-მა საქართველოს 2003 წლის ჩემპიონატის ფინალშიც გაიმარჯვა. გუშინ სპორტის სასახლეში "იბერია 2000"-მა ტიტულიც დაიცვა და ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.*

დღეს ქართულ საკლუბო ფუტზალს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს: "იბერია 2000" და თსუ. ეს გუნდები ისე მივიდნენ ფინალამდე, რომ არც ერთ მეტოქესთან, არც ერთ შეხვედრაში საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. ჩემპიონატის დასაწყისიდანვე თსუ-მ და "იბერია 2000"-მა ჯერ ჯგუფურ ეტაპზე, საკუთარ ქვეჯგუფებში დაიკავეს პირველი ადგილები, შემდეგ მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ პლეი-ოფებში აშკარად დაჯაბნეს მეტოქეები და საქართველოს თასიც ერთმანეთში გაითამაშეს: ფინალში "იბერია 2000"-მა 2:1 დაამარცხა მეტოქე.

ამჯერადაც, სეზონში ამ გუნდების მეორე შეხვედრაც უკიდურესად დაძაბული იყო. შეიძლება ითქვას, რომ მატჩისა და ჩემპიონის ტიტულის ბედი ორი ფეხბურთელის ოსტატობამ გადაწყვიტა. ალექსანდრე სარქისიანმა და ნიკა კბილაძემ, რომლებიც საქართველოს ნაკრების მოთამაშეებიც არიან, პირველ ტაიმში ორი უპასუხო გოლი გაუტანეს სტუდენტებს. მეორე ნახევარში თსუ-მ თითქოს გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემპიონის კარში გატანილი ერთი გოლით (დავით ტყებუჩავა) გამოიხატა. საფინალო სასტვენმა სტუდენტებს მორიგ შეტევაზე მიუსწრო და ზუსტად ისეთი ანგარიში დააფიქსირა, როგორიც ამ ერთი თვის წინ, ამავე გუნდების ფინალურ სათასო მატჩში აღინიშნა.

ზურაბ დვალი ("იბერია 2000"-ის პრეზიდენტი): "საქართველოს ჩემპიონატის ფინალს რომ ეკადრებოდა, ზუსტად ისეთი დაძაბული მატჩი გამოდგა. ჩვენმა მეტოქემ ბრწყინვალედ ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და ერთხანს ჩემი გუნდის გამარჯვება ეჭვქვეშაც კი დააყენა. თუმცა, საბოლოოდ, მოიგო უძლიერესმა და ჩვენ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოგვიწევს საქართველოს ღირსების დაცვა. ვფიქრობ, ამ ტურნირისთვის სწორედ თსუ-დან დავიმატებთ რამდენიმე ფეხბურთელს."



"იბერია 2000"-სა და "თსუ"-ს მატჩი

ფინალამდე გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის. "ქუთაისმა" დიდი ანგარიშით - 7:1 დაამარცხა ბათუმის "მარდი".

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიიღო იბერიელმა ალექსანდრე სარქისიანმა.

*რაგბი*

# სეზონი თასმა გახსნა


"ლოკომოტივისა" და "გორდას" შეხვედრისას

ზამთრის შესვენების შემდეგ თბილისსა და ბათუმში სარაგბო სეზონი გაიხსნა. ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ დიდი დროა, მანამდე მორაგბეები ეროვნულ თასს გაითამაშებენ.

თავდაპირველად ქვეყნის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჩაერთო საქმეში. "დათვები" "ხულიგანას", "დათვები 2" კი "დინამოს" მასპინძლობდა. რამდენიმე მოთამაშის გარეშე დარჩენილ "დათვებს" მატჩის დასაწყისში ცოტა კი გაუჭირდათ, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა და მასპინძლებმა გაიმარჯვეს - 27:10. შედარებით დაძაბული გამოდგა მეორე მატჩი, რომელშიც ისევ მასპინძლებმა იმარჯვეს, მაგრამ უფრო მცირე სხვაობით - 14:10.

მეორე დღეს ესტაფეტა გადაეცა თბილისს, სადაც ასევე ორი მატჩი გაიმართა. რეკონსტრუქციის შემდეგ "ლოკომოტივის" სტადიონმა პირველად უმასპინძლა რაგბის. მართალია, შეხვედრა სათადარიგო მოედანზე გაიმართა, მაგრამ ქართული რაგბისთვის ესეც საქმეა. მისასალმებელია, რომ რკინიგზის დეპარტამენტმა რაგბისთვისაც მოიცალა. სტადიონის გარდა, ამას გუნდის შეხედვისთანავე მიხვდები - "ლოკომოტივი" ახალი სათამაშო ფორმით შეიმოსა. შეიმოსა და სეზონი გამარჯვებითაც დაიწყო. რკინიგზელებს რუსთავის "გორდა" ჰყავდათ მეტოქედ და მხოლოდ ერთი ლელოს გატანა აკმარეს. სამაგიეროდ, თვითონ გამოიდეს თავი და, ვისაც არ დაეზარა, ყველამ დაალელოვა მეტოქე - 54:5.

ვარკეთილში "ყოჩები" და "არმაზი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. "ლოკომოტივ"-"გორდას" მატჩისგან განსხვავებით, ეს შეხვედრა უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს - 19:11 გაიმარჯვეს "ყოჩებმა".

*კალათბურთი*

# ოთხეული გაირკვა

**საქართველოს ჩემპიონატი**

**მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| *დინამო - სსუ* | *98:89* |
| *დინამო - სსუ* | *99:90* |
| *(საერთო ანგარიში 2:0)* | |
| *აზოტი - თსუ* | *91:66* |
| *აზოტი - თსუ* | *93:71* |
| *(საერთო ანგარიში 2:0)* | |

ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის ტრიბუნები ნელ-ნელა იწყებს თავისი ფუნქციის შესრულებას. თუ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ოციოდე სკამს ნახავდით დაკავებულს, გასული კვირის ბოლოს ასეთთა რიცხვმა ორ ასეულს მიაღწია. მიზეზი საქარველოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები იყო. მართალია, ყველა შეხვედრა ერთნაირი სცენარით წარიმართა და საერთო ანგარიშით (2:0) დასრულდა, მაგრამ პლეი-ოფმა გულშემატკივართა ინტერესი მაინც გამოიწვია.

მეოთხედფინალებიდან ყველაზე დიდ ინტერესს რუსთავის "აზოტისა" და თსუ-ს მატჩი იწვევდა. ეს გუნდები მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვნად ითვლებოდა. თუმცა, მხოლოდ ითვლებოდა, რადგან პაექრობამ ყველას კარგად დაანახა რუსთაველთა უპირატესობა. სტუდენტებმა მეტოქეს ვერც ერთ შეხვედრაში ვერ გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

"აზოტის" მეტოქე ნახევარფინალში "დინამოსა" და სსუ-ს მატჩში უნდა გარკვეულიყო. სიმართლე რომ ითქვას, გასარკვევი არც არაფერი იყო. ჩემპიონობისთვის მებრძოლ "დინამოს" რომ სოხუმელები ვერაფერს ვერ დააკლებდნენ, თავიდანვე ნათელი იყო. საბოლოოდ "დინამომ" უპრობლემოდ დაძლია სოხუმელთა ბარიერი, თუმცა, დინამოელთა ხორვატი თავკაცი მაინც უკმაყოფილო დარჩა, რაც აღნიშნა კიდეც მატჩის შემდეგ: "მართალია, გავიმარჯვეთ, მაგრამ გუნდის თამაშში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია, რაც დღევანდელ მატჩშიც გამოჩნდა. მათ გამოსასწორებლად ბევრი მუშაობა გვმართებს".

*ფორმულა 1*

# ახალი ფერარის პირველი ტრიუმფი

## ბარსელონას გრან-პრი შუმახერის გამარჯვებით დასრულდა

აკა ტონია


ფერნანდო ალონსო, მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო

REUTERS

გუშინ ბარსელონაში გაიმართა ფორმულა 1-ის მორიგი გრან-პრი, რომელზეც მიხაელ შუმახერი პირველად გამოვიდა Ferrari-ს ახალი ბოლიდით. F2003 GA-მ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა ჯერ კიდევ შაბათს, როდესაც საკვალიფიკაციო რბოლები იმართებოდა. შუმახერმა და ბარიკელომ, შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს და გუშინდელი გრან-პრის სტარტზე სათავეში მოექცნენ. მესამე პოზიციაზე ესპანელი ფერნანდო ალონსო იდგა.

21 წლის პილოტისთვის Circuit de Catalunya მშობლიური ტრასაა და გუშინდელ გრან-პრისაც მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი იყო ესპანელ გულშემატკივართა მოლოდინი და ალონსომაც არ დაალალატა ისინი. საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფმა ფინელმა კიმი რაიკიონენმა უკანასკნელმა დაიწყო რბოლა, რადგან წინა დღით, კვალიფიკაციისას, ჯებირს დაეჯახა და იძულებული გახდა, რბოლა შეეწყვიტა.

რაიკიონენის უიღბლობა გუშინაც გაგრძელდა: სტარტზევე, მის წინ მდგარი პიცონიას ბოლიდი ვერ დაიძრა და ფინელიც მას შეეჯახა, რის შემდეგაც შეჯიბრებას გამოეთიშა. სამაგიეროდ, იყოჩაღა ფერნანდო ალონსომ, რომელმაც დასაწყისშივე გაასწრო რუბენს ბარიკელოს და მიხაელ შუმახერის უკან ჩამოტოვებასაც ცდილობდა, თუმცა, ეს ვეღარ მოახერხა. მთელი რბოლის განმავლობაში სწორედ შუმახერი, ალონსო და ბარიკელო ლიდერობდნენ, გადამწყვეტი როლი კი ბოქსებში მათმა მესამედ და უკანასკნელად შესვლამ შეასრულა. Ferrari-ს მექანიკოსებმა შესანიშნავად იმუშავეს - შუმახერის ბოლიდს 6,9 წამში გამოუცვალეს საბურავები. ალონსომ პირველ პოზიციაზე გადანაცვლება ვეღარ მოახერხა, თუმცა, დამაჯერებლად მოუგო ბარიკელოს - 15 წამით. გუშინდელი გრან-პრი უაღრესად წარუმატებელი გამოდგა McLaren-Mercedes-ისთვის: რაიკიონენთან ერთად, ავარია მოუვიდა დევიდ კულჰარდსაც. იანო ტრულისთან შეჯახების შემდეგ მას ბოქსში მოუხდა შესვლა, რის შემდეგაც შოტლანდიელმა უკანასკნელ პოზიციაზე ამოყო თავი. კულჰარდმა ძალიან გარისკა, როდესაც იენსონ ბატონის გასწრება მოინდომა. შედეგად ის ტრასის მიღმა აღმოჩნდა და რბოლა შეწყვიტა.

შავი დღე ჰქონდა Sauber-საც: 39-ე წრეზე გამოვარდა ფრენტცენი, ხოლო ნიკ ჰაიდფელდმა მე-10 ადგილი დაიკავა და ქულების გარეშე დარჩა.

გუშინდელი გამარჯვება მიხაელ შუმახერისთვის ზედიზედ მეორე იყო მიმდინარე სეზონში. 28 ქულით ის ახლა საერთო ჩათვლაში მეორე პოზიციას იკავებს და ლიდერს, რაიკიონენს, ოთხი ქულითღა ჩამორჩება. ბარსელონას გრან-პრიზე მიღწეული გამარჯვება 66-ეა გერმანელი პილოტის კარიერაში.

**ბარსელონას გრან-პრის შედეგები**

1. მ. შუმახერი Ferrari
2. ალონსო Renault
3. ბარიკელო Ferrari
4. მონტოია Williams BMW
5. რ. შუმახერი Williams BMW
6. და მატა Toyota
7. ვებერი Jaguar Cosworth
8. ფირმანი Jordan Ford
9. ბატონი BAR Honda
10. ჰაიდფელდი Sauber Petronas
11. ვილსონი Minardi Cosworth
12. ვერსტაპენი Minardi Cosworth
13. ფიზიკელა Jordan Ford
14. პანისი Toyota
15. ფრენტცენი Sauber Petronas
16. კულჰარდი McLaren Mercedes
17. ვილნევი BAR Honda
18. ტრული Renault
19. პიცონია Jaguar Cosworth
20. რაიკიონენი McLaren Mercedes

**საერთო ჩათვლა**

1. რაიკიონენი McLaren Mercedes 32
2. მ. შუმახერი Ferrari 28
3. ალონსო Renault 25
4. ბარიკელო Ferrari 20
5. კულჰარდი McLaren Mercedes 19
6. რ. შუმახერი Williams BMW 17
7. მონტოია Williams BMW 15
8. ფიზიკელა Jordan Ford 10
9. ტრული Renault 9
10. ფრენტცენი Sauber Petronas 7
11. ბატონი BAR Honda 3
და მატა Toyota 3
ვილნევი BAR Honda 3
14. ვებერი Jaguar Cosworth 2
15. ჰაიდფელდი Sauber Petronas 1
ფირმანი Jordan Ford 1
17. ვილსონი Minardi Cosworth 0
პანისი Toyota 0
პიცონია Jaguar Cosworth 0
ვერსტაპენი Minardi Cosworth 0

**კონსტრუქტორთა დავა**

McLaren-Mercedes 51
Ferrari 48
Renault 34
BMW-Williams 32
Jordan-Ford 11
Sauber-Petronas 8
BAR-Honda 6
Toyota 3
Jaguar 2
Minardi 0

*კრივი*

# კამპასი ოსკარს ვერ შეწვდა

გიგა გურასაშვილი

*შაბათ საღამოს, ჩვენი დროით კი კვირას, გამთენიისას, ლას ვეგასში, მენდელეი ბეი კაზინოს რინგზე, ოსკარ დე ლა ჰოიამ მიიღო ის, რაც უნდოდა. ოსკარმა წარმატებით დაიცვა საშუალო წონის* ***WBC*** *(საბჭო) და* ***WBA*** *(ასოციაცია) საჩემპიონო ქამრები. მეტოქის მიბეგვისა და ტიტულების დაცვისთვის კი 11 მილიონი დოლარიც გამოიმუშავა. დე ლა ჰოია საბანკო ანგარიშის გაზრდას 13 სექტემბერსაც გეგმავს, როდესაც შეინ მოსლისთან ამავე ტიტულების დასაცავად ორთაბრძოლა მოუწევს.*

კრივის სამყაროში სულ სამი ადამიანია, რომლებსაც ხუთ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოუპოვებიათ ჩემპიონობა. ერთ-ერთი მათგანია მექსიკური წარმოშობის ამერიკელი ოსკარ დე ლა ჰოია, რომელსაც მკერდიც და წელიც არაერთხელ დაუმშვენებია ჩემპიონის საკადრისი ტიტულებით. თავად კი ყველაზე საპატიო ჯილდოდ 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ოქროს მედალი მიაჩნია.

სხვათა შორის, მაშინ დე ლა ჰოია, ამერიკელთაგან ერთადერთი, ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ოლიმპიური ჩემპიონობა კი ერთდროულად ორი - ამერიკისა და მექსიკის დროშებით აღნიშნა. ცალი ხელით მექსიკურ დროშას რომ აფრიალებდა, ამით საკუთარ წარმოშობას უსვამდა ხაზს. საერთოდ, როგორც წესი, ყველა დიდ მოკრივეს, ვისაც კი პროფესიულ რინგზე რაიმესთვის მიუღწევია, საკუთარი კარიერისთვის ოლიმპიური "ოქროთი" ჩაუყრია საფუძველი. ვფიქრობ, მაგალითისთვის მუჰამედ ალი და ლენოქს ლუისიც გამოდგება. ერთი სიტყვით, იგივე გზა გაიარა ოსკარ დე ლა ჰოიამაც. მექსიკელ-ამერიკელს, სხვადასხვა ვერსიით, არაერთი ტიტული მოუპოვებია. 38 ბრძოლიდან 36 მოგებული აქვს, აქედან 29 - ნოკაუტით. შეინ მოსლისთან და ფელიქს ტრინიდადთან წაგება რომ არა, თამამად შეიძლებოდა, იგი ლეგენდარული მოკრივის შარავანდედითაც შეგვემოსა. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ დე ლა ჰოია ერთ-ერთი უდიდესი მოკრივეა.


დე ლა ჰოიასა და კამპასის ორთაბრძოლა

REUTERS

რაც შეეხება ლასვეგასურ დაპირისპირებას, თავიდანვე ნათელი იყო, რომ დე ლა ჰოია ყოფილ თანამემამულეს, IBF-ის (ფედერაციის) ყოფილ ჩემპიონს იორი ბოი კამპასს ტიტულებს არ დაანებებდა. ორთაბრძოლა პროგნოზისამებრ წარიმართა. ოსკარისა და იორის ჩხუბი, ფაქტობრივად, რინგის ერთ მხარეს მიმდინარეობდა. დე ლა ჰოიამ თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა, თუმცა, მეტოქე ერთხელაც ვერ ჩააგდო ნოკდაუნში. მიუხედავად ამისა, "ოქროს ბიჭუნას" ზეწოლა თვალში საცემი იყო. მართალია, კამპასი კრივის სამყაროში საშუალო დონის მოკრივედ მიაჩნიათ, მაგრამ მედგარი მოწინააღმდეგის რეპუტაციითაც სარგებლობს. მისი გატეხვა არც ისე იოლი საქმეა, რაც დე ლა ჰოიასთან შეხვედრამაც დაადასტურა. რინგზე მობარბაცე, არც ერთხელ არ დავარდნილა, არც კლინჩში შესვლა უცდია და, სულის მოსათქმელად, არც თოკზე ჩამოკიდებულა. კამპასის ბანაკის დაყინება რომ არა, ბრძოლა, ალბათ, არც შეწყდებოდა. მატჩი მეშვიდე რაუნდში, ოსკარ დე ლა ჰოიას აშკარა უპირატესობის გამო შეწყდა. "ოქროს ბიჭუნამ" შეინ მოსლისთვის მიცემული სიტყვა შეასრულა.

საქმე ის არის, რომ დე ლა ჰოიამ პირობა დადო, კამპასს მოვუგებ და მერე შენც მოგხედავო.

"ეს ის ბრძოლაა, რომელიც ძალიან მინდა. ამ ბრძოლისთვის საუკეთესო ფორმაში ვიქნები. შეინ, ჩვენ აუცილებლად შევხვდებით რინგზე", - მორიგი მატჩისთვის აქედანვე ემზადება დე ლა ჰოია.

სხვათა შორის, დარბაზში თავშეყრილ 12 ათას მაყურებელთან ერთად მომავალ მოწინააღმდეგეს შეინ მოსლიც ადევნებდა თვალყურს. მათი დაპირისპირება, უფრო სწორად, მატჩ-რევანში, როგორც თავში აღვნიშნეთ, 13 სექტემბერს შედგება.

# ფეხბურთი



## უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

**Пешеходов надо любить.**

ეს სტრიქონი ილფსა და პეტროვს ვლადივოსტოკიდან მოსკოვისკენ წამოსული პეშეხოდის ტრაგიკულმა ბედმა დააწერინა. ამ სტრიქონიდან და მერე განვითარებული მოვლენებიდანაც აშკარად ჩანს, რომ მწერალი ძმები მოგზაურებს დიდ პატივს სცემდნენ.

ისე, არც ჩვენ ვართ ვინმეზე ნაკლები, ჩვენც ვიცით პატივისცემაცა და სხვისი ღვაწლის დაფასებაც. სწორედ ამიტომ ძალიან მინდა, მკითხველმაც გაიხსენოს და, რაღა თქმა უნდა, სათანადო პატივი მიაგოს იმათ, ვინც წინა კვირას პილიგრიმობის არცთუ იოლი მისია იტვირთა. ასეთი ქვეყნად ბევრია, მაგრამ მკითხველის ყურადღება მხოლოდ ორზე მინდა შევაჩერო. ერთი მოსკოვიდან თბილისისკენ წამოსული, რუსებისა და ქართველებისგან პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებული გუნდი იყო. მეორე, შედარებით მცირერიცხოვანმა ჯგუფმა კი რკინის ქალამნები ჩაიცვა და თბილისიდან შვეიცარიისკენ აიღო გეზი. დელეგაციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა, თვითონ დელეგაცია კი ერთადერთი წევრისგან - პრეზიდენტის მარჯვენა ხელისგან შედგებოდა.

ასე დაიწყო მოგზაურობის კვირეული.

მოსკოვიდან აფრენილმა მშვიდობის მტრედებმა ერთიანობისა და კვლავ ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრების გულისამაჩუყებელი მოწოდებებით გადმოლახეს რუსეთ-საქართველოს საზღვარი და... თუ რა მოხდა მერე, ამაზე ცოტათი ქვემოთ, ახლა კი ჟორდანია-ჩოლარიას წყვილს მივუბრუნდეთ.

იმავე, ესე იგი, 25 აპრილის საღამოს, სატელევიზიო გამოსვლისას მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ უეფას უპრეცედენტო გადაწყვეტილება ფედერაციის "ჩუმმა და ეფექტურმა მუშაობამ" განაპირობა და ამ საქმეში მათ რუსი კოლეგებიც დაეხმარნენ. ჟორდანიას არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ რა სამუშაოები ჩაატარეს უჩუმრად და რა დიპლომატიურ ხერხებს მიმართეს. სხვათა შორის, არც იმ დამატებითი არგუმენტების შესახებ დასცდენია რამე, რომლებიც, ფედერაციელების თქმით, უეფას წარუდგინეს. სამაგიეროდ ის, რაც თქვა, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ, ეკა ხოფერია ხომ დააჯერა და დააჯერა, მერე ჩემ მეზობელ ქალებსაც კი აღტაცებით ათქმევინა: ვიშ, რა გონიერი და ცქვიტი ფედერაცია გვყოლიაო. ამ ახალი სასიხარულო ამბით გამოწვეულ ეიფორიაში ცოტა ვინმეს თუ გაახსენდა ირლანდიური "სანის" 18 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის განცხადება, რომელიც სიტყვასიტყვით გადმობეჭდა გაზეთმა "24 საათმა": "ჩვენ ძალზე უარყოფითად ვაფასებთ უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას. იმედი გვაქვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფას სააპელაციო კომიტეტში საჩივარს შეიტანს და ევროპის საფეხბურთო კავშირს გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს".

"უეფას გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ იგი ეხმარება რუსეთის ნაკრებს". ირლანდიელთა მწვრთნელის ბრაიან კერის ამ განცხადებასა და მის შინაარსს, რაღა თქმა უნდა, შვეიცარიელებიც იზიარებდნენ და, ბუნებრივია, არც ისინი დარჩებოდნენ ვალში. გასაგები მიზეზების გამო უეფასთვის სწორედ შვეიცარიელთა დაწოლა იქნებოდა საგრძნობი. ისე, სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ როცა ფეხბურთელთა პრეზიდენტი ყველაფერ ამას "ჩვენს მიერ ჩატანილ დამატებით არგუმენტებად" ასაღებდა, უხერხულობის განცდა ნაღდად ეტყობოდა სახეზე, სამაგიეროდ არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია მეორე პრეზიდენტს, როცა... თუმცა, მოვყვეთ თავიდან.

საფეხბურთო ორომტრიალი სულ მალე და ძალიან იოლად პოლიტიკურ ფარიკაობაში გადაიზარდა. და მიუხედავად იმისა, რომ, მიმომხილველთა აზრით, სააკაშვილმა გვარიანად დაჩხვლიტა შევარდნაძე, მიშას ერთი პატარა იაღლიში მაინც მოუვიდა: შეგეშინდათ და იმიტომ დაუშვით ხალხი სტადიონზეო. ნახევარწინწილას პონტში გათამაშებული ეს სცენარი, როგორც ჩანს, ჭკუაში დაუჯდა ხალხის პრეზიდენტს. აბა, შევარდნაძე რის შევარდნაძეა, რომ სათავისოდ არ გამოეყენებინა ოპონენტის შეცდომა. არც აცია, არც აცხელა და, მართლა არ დაიბრალა?! ვარაუდი სწორი იყო: მიზეზი მალე დაავიწყდებათ, ფაქტი კი დარჩება - რუსეთთან გამარჯვება რომ მისი შემწეობით მოხერხდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს ემახსოვრება ხალხს. ჰო, ჩვენ ვქენითო. უფრო სწორად, ჩემმა პროტეჟემ, სახელმწიფო მინისტრმა გააიმასქნა ეს საქმეო.

როგორც ზევით ვთქვი, როცა ამას ამბობდა, უხერხულობის ნიშატიც არ ეტყობოდა ბატონ პრეზიდენტს.

წარმოგიდგენიათ, ხალხო? სულ რაღაც ორი კვირის წინ უეფამ მთელი საქართველო დასაჯა. ალბათ, ისიც გახსოვთ, რამდენიმე წლით ყველა ინგლისური კლუბი რომ დაიფრინა ევროპული ტურნირებიდან და ახლა გაურკვეველი ფუნქციებისა და გაურკვეველი თანამდებობის კაცის ელვა-დეპეშაზე აუტყდა მუხლების კანკალი?

ღმერთო ჩემო, კინაღამ სულ დაგვავიწყდა მოსკოვიდან გამოსული პილიგრიმები. ჩვენ ისინი კავკასიონის დათოვლილ უღელტეხილზე შეციებულები, ძალზე დაღლილები, მაგრამ ბედნიერები მივატოვეთ. ამ კატეგორიის ხალხს ილფი და პეტროვი პეშეხოდებად იხსენიებენ, ევროპელებისთვის პილიგრიმები არიან, ჩემთვის - იდეინი კლიენტები. თუმცა, სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ მოდიან და ძმობისა და ერთიანობის იდეებს მოაფრიალებენ.

ჰოდა, როგორც უკვე ვთქვით, მოხეტიალე მლოცველებმა მშვიდობიანად გადმოლახეს რუსეთ-საქართველოს საზღვარი და ზუსტად დანიშნულ დროს - საფეხბურთო მატჩის დღეს მოადგნენ თბილისს.

**Пешеходов надо любить.**

და როგორც მომდევნო სტრიქონებიდან ვიგებთ, ვლადივოსტოკიდან გამოსული შვიდიათასკილომეტრგავლილი ჩვენი გმირი ზედ მოსკოვის კარიბჭესთან, ცოტა არ იყოს, კომიკურ ვითარებაში დაღუპულა - იმ დროისთვის ერთობ იშვიათმა რამემ, სატრანსპორტო საშუალებამ გაჭყლიტა.

არა, არა, ღმერთმა დამიფაროს ყოველგვარი პარალელებისა და ასოციაციებისგან, ასფალტის სატკეპნი მანქანებისა და თბილისის შემოსასვლელთან მომხდარი ტრაგედიებისგან. მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რაოდენ საშიშია პილიგრიმობა, გინდ მეოცე და გინდ ოცდამეერთე საუკუნეში.

**ეპილოგი**

ხსენებული ამბებიდან ათი წლის შემდეგ ამ წუთებში Fox Kids-ის, ჩვენებურად კი "პატარა მელაკუდების" მსოფლიო ჩემპიონატში მოთამაშე ქართველი ბიჭუნებისგან შემდგარმა გუნდმა ყოველგვარი პრობლემების გარეშე გადაუარა რამდენიმე ძლიერ, მათ შორის, რუსეთის ნაკრებსაც და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გააღწია.

*ჭიდაობა*

# ნაკლებად მასშტაბური, მაგრამ წონიანი მედლები

გიგა გურასაშვილი

*ისე როგორ წახდება ქართული საჭიდაო სკოლა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ერთი-ორი მედალი არ მოიპოვოს. მართალია, კონტინენტის პირველობა მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ თამაშებზე გაცილებით ნაკლებ მასშტაბურია, მაგრამ ჭიდაობის გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ უძლიერეს ფალავანთა მეტი წილი ევროპელებზე მოდის. ქართველმა ფალავნებმა გუშინ დასრულებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი ორი მედლით დაასრულეს.*

1 მაისს რიგაში დაწყებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის 46-ე ჩემპიონატზე სრული ამალით ჩასული საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე უკეთ რევაზ მინდორაშვილმა იასპარეზა. გასული წლის ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა შარშანდელი "ბრინჯაო" "ოქროზე" გადაცვალა. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე მინდორაშვილმა ერთმანეთის მიყოლებით გზიდან ჩამოიცილა აზერბაიჯანელი, ლატვიელი, ბელორუსი, რუსი და სომეხი მეტოქეები.

ჩემპიონობასთან ახლოს იყო მძიმეწონოსანი ალექსანდრე მოდებაძეც. მას შემდეგ, რაც მოდებაძემ ბელორუსი, იტალიელი და თურქი ფალავნები დაამარცხა, მეოთხე შეხვედრაში რუსეთის ნაკრების ლიდერის, ტომით ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიოს ორგზისა და ოთხგზის ევროპის ჩემპიონის დავიდ მუსულბესის სახით წინააღმდეგობას წააწყდა. მუსულბესი შემდეგ ჩემპიონიც გახდა. მოდებაძემ კი მესამე ადგილისთვის ბრძოლა გააგრძელა. რუმინელ მეტოქესთან მას შანსი აღარ გაუშვია ხელიდან.

მოულოდნელი იყო საქართველოს ნაკრების ლიდერის, მსოფლიო ჩემპიონის, ევროპის ოთხგზის გამარჯვებულისა და ვიცე-ჩემპიონის ელდარ კურტანიძის (96კგ) წარუმატებლობა. კურტანიძე პირველ წრეში ისვენებდა. მეორეში კი საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ავთანდილ ქსანტოპულოსთან (მგელაძე) მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა. შემდეგი ორთაბრძოლა ესტონელ მეტოქესაც მოუგო, მაგრამ ეს იყო და ეს. კურტანიძის წარმატებული სერია მომავალმა ჩემპიონმა, რუსმა ხაჯიმურად გაცალოვმა შეწყვიტა. ქართველმა მოჭიდავემ ევროპის ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა.

მედლის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვა დავით პოღოსიანმაც (60კგ). ჯერ აზერბაიჯანელს მოუგო, შემდეგ - უკრაინელსა და რუსს მეტოქეებს, მაგრამ მომავალ ფინალისტთან, თურქ არიფ კამასთან ჭიდილში ვერაფერი გააწყო და ნუგეშად მესამე ადგილისთვის რუმინელ მეტოქესთან ბრძოლა დაიტოვა. შეხვედრა თავიდან პოღოსიანის კარნახით წარიმართა. მეტოქეს ქულა აართვა და თითქოს გამარჯვებაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ შემდეგ მოწინააღმდეგეს ქულა ქულაზე დაუთმო და, ბოლოს, მესამე ადგილიც.

თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით საქართველოს ნაკრებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 27 ქვეყანას შორის მეორე ადგილი დაიკავა. პირველზე რუსეთის ნაკრებია 3 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედლით.



**გია (პუსკუნა) ლომთათიძე**

გარდაიცვალა გია (პუსკუნა) ლომთათიძე. კაცი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, ოჯახი და მეგობრები. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა ძმაო, პუსკუნა.

მეგობრები

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742



ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)




**განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"**
**გთავაზობთ:**
**კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:**

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## აფიშა

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"დედა დედოფალი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლებში: სოფიკო ჭიაურელი და მურმან ჯინორია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ევგენი გრიშკოვეცი (რუსეთი), "დრედნოუტი"
დას: 19:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

**არტ ორიენტი**
"აბრეშუმის გზა"

**ეროვნული გალერეა**
გივი თოიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ზარდენი**
ქართული სახლის დიზაინისა და არქიტექტურის თემაზე შექმნილი ფოტოგამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ფრიდა"
დას: 13:30; 22:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"გააანალიზე-2"
დას: 16:00 სთ; ფასი 6,7 ლარი-
"აგენტი ჯონი ინგლისში"
დას: 18:00; 20;00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მზის ცრემლები"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

**„რუსთაველი"**
"მზის ცრემლები"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,9 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება კეთილმოწყობილი კაპიტალური კერძო სახლი 2 მიწის ნაკვეთით სოფ. დიდი ცემი.
ფასი: 10 000$
ტელ: 899 263209 კახა.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული კუთხის ნათელი ბინა კაპიტალურ ავტოფარეხთან ერთად. წერეთლის გამზირზე (გამოფენის პირდაპირ) 7(8). ფასი 22 000$. ტელ: 33-25-20.

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ტელ: 23-70-91, 877 710590.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს 5%-ში, იპოტეკის წესით. ტელ: 23-70-91, 877 710590.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68

იყიდება გოლფი-3 1992 წლის. 1,8 ძრავით, 2 კარით, ლურჯი ფერის. ფასი: 2800$. 893 347536.

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე. ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

## სხვადასხვა

სარეკლამო სააგენტო სამუშაოდ იწვევს თანამშრომლებს. ცნობებისათვის დარეკეთ: 55 21 02, 55 21 03

გთავაზობთ უნიკალურ **ფრანგულ კოსმეტიკას**, რომელიც შესანიშნავია აგრეთვე მოზარდებისთვისაც.
**საგაზაფხულო ფასდაკლება.**
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 91-09-20, ქეთინო

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566**

პროფესიით ვარ ეკონომისტი, 23 წლის, ვიმუშავებ პრესტიჟულ მაღაზიაში. ტელ: 51-56-49 თაკო.

**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**










## TV პროგრამა 5 მაისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
19.00 სერიალი „მაშველები"
19.45 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „დაქირავებული პოლიციელი" მთ. რ-ში: ბერტ რეინოლდსი
02.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 „ალიონი"
09.40 ანონსი
16.25 ანონსი
16.30 „ოქროს მართვე"
17.00 ტელესერიალი „ქილის წინ"
17.15 რამპა
17.20 50-50
18.00 „ვესტნიკი"
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 მრავალჟამიერ
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.00 მოამბე
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
22.35 ტელესერიალი „ქილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „ბიჭები სტადიონზე"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „თავდაყირა"
19.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი ბრავო „ტაქსი"
01.40 ფილმი ღამურა „ხვალ არ მოკვდება არასდროს"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ლატარია ყველასათვის
21.00 ჯანმრთელობა
21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი „კრიმინალური ტალანტი" 1-ლი ს.

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „ხელი"
10.20 მხ.ფ. „საშობაო ღვეზელი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 ბურთი და მოედანი
20.30 მხ.ფ. „შერეკილთა ქვეყანა"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ითამაშე ზიზუსავით"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ"
13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.00 მხ. ფილმი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 ფილმის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინარული
20.30 მუსიკალური პაუზა
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 პირველი ნაბიჯები
23.00 მუსიკალური პაუზა
23.15 ტელესერიალი „ყავახანა"
23.35 ინდური მხ. ფილმი „სიხარული და მწუხარება"

### მეცხრე არხი

09.35 მულტფილმი „პატარა დედოფალი"
10.25, 14.20, 15.15, 23.50, 01.55 მუსიკა
10.45 მხ. ფილმი „ცივი გული"
12.40 მხ.სერიალი „რაც გინდა აკეთე" მე-2 ს.
13.30 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „ტრუბა"
13.45 „ოსტატები"- მფრინავი
14.00 „ბელისიმო"- იაშვილები-პიანისტთა კონკურსი
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.35 მულტფილმი „ჯუნგლების ბიჭი"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
17.45 ლეო და გეო
18.00 მხ. სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 166-ე ს.
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები" მე-6 ს.
21.45 „ჩემი ქვეყანა".
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „ჭაბურღილი"
00.20 მხ. ფილმი „ჟანა დარკი" 1-ლი ს.

### იმედი

17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
17.10, 00.15 იმედის მელოდიები
18.00, 20.57, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.25 გ 1-2 სპორტ. პროგრამა „გოლი"
19.55 კინონოსტალგია „თავგადასავალთა მაძიებელნი"
22.45 სერიალი „გაიხსენო ყველაფერი" მე-3 ს.
23.40 სპორტ. პროგრამა „გოლი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 კონცერტი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი"
10.50 მუსიკა (აჭ.სახ. სიმფონიური ორკესტრი და კაპელა)
11.00 დოკუმენტური ფილმი „პიკასო"
12.10 თრილერი „ბედნიერი ბილეთი"
13.55 მუსიკა (ბავშვთა ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სოლისტები სკონცერტი)
14.15 კომედია „შეშლილი პროფესორი-2"
16.10, 19.20, 22.20 „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „ოლივერი და კომპანია"
17.35 ქართული ესტრადა
17.40 სათავგადასავლო ფილმი „საუკუნის მეკობრეები"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.30 დოკუმენტური ფილმი „ჯეკსონ პოლოკი"
20.15 ფილმი-ფანტასტიკა „დასაშვებია"
22.40 მუსიკა (ფრაგმენტები საბალეტო სპექტაკლებიდან)
23.00 „ალტერნატივა"
00.40 მუსიკა (ნ.გოგიტიძე, რ.მორჩილაძე)
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 მხ. ფილმი „შიდა გამოძიება"
02.50, 03.20 მუსიკა
03.50 მელოდრამა „ჰოლივუდის პრინცესა"

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით)
12.50 კომპიუტერული ტექნიკა
13.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.50 კომპიუტერული თამაშები
14.05 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
20.55 კომპიუტერული თამაშები
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.30 „კინოკლუბი " - „დედოფალი მარგო". ისტორიული.
00.20 სპორტი
00.25 მობილურები
01.10 „ბიორითმი"

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Триллер „Дом на Кэрролл-стрит"
12.10, 17.25, 00.55 „Фабрика звезд 2"
12.40 „Следствие ведет Колобков"
13.15 Худ.фильм „Война на западном направлении", 3 с.
14.45 „Непутевые заметки"
15.00 Док. детектив „Хроника одного убийства".
15.30 „Путешествия натуралиста"
16.15 „Солдаты свободы". „Венгерская рапсодия"
17.05 Док.сериал „Дикие штучки"
18.00 „Большая стирка"
19.30 „Шутка за шуткой"
20.00 „Жди меня"
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Женская логика", 1 с.
23.45 „Тайны века". „Финансовые пирамиды"
01.10 „Я хочу клонировать свою маму"
01.40 „Теория невероятности". „Интуиция"
02.10 „Реальная музыка"

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Боевик „Последний киногерой"
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу Ф.Павлова-Андреевича „Короткое замыкание"
13.20 Мелодрама „Арабский принц"
14.15 „В „Городке"
14.30 Вести - Москва. Неделя в городе
15.20 Ток-шоу Е.Яковлевой „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех 2"
17.15, 05.05 „Агентство одиноких сердец"
17.45 „Экспертиза"
18.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
18.45 Вести - Спорт
18.55 Футбол. Чемпионат России. ЦСКА - „Локомотив" (Москва)
21.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.55 Комедия „Дети понедельника"
23.55 Боевик „Отчаянные меры"
02.00 „Футбол России"
02.35 Худ.фильм „Принцесса и воин"
04.50 „Дорожный патруль"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.55 Сериал „Клан Сопрано"
11.00 „Сегодня утром"
11.25 Док. драма „Преступление и наказание"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 „Сегодня"
12.05 „Экстремальный контакт. Путешествие в логово барракуды"
12.35 „Быстрее волн". Профессия - репортер
13.05 Муз. комедия „Ландыш серебристый"
14.45 Криминал
15.05 „Широка страна. Капитаны Нахаловки"
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 Риск - благородное дело? „Принцип „Домино"
18.05 Сериал „Улицы разбитых фонарей"
19.25 „Внимание! Розыск!" Школа наемных убийц
20.35 Сериал „Свободная женщина", 1 с.
21.50 Сериал „Улицы разбитых фонарей"
23.00 „Страна и мир"
23.35 Сериал „Секс в большом городе"
00.20 „Российская империя. Екатерина II"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*




# "ველური" დასავლეთის ბანდიტები

## ამერიკული "ცხენის ოპერა" 100 წლისაა

ირაკლი მახარაძე

ამერიკელები, იაფი ბულვარული რომანების და პრესის წყალობით, საკმაოდ კარგად იცნობდნენ "ველური" დასავლეთის ბანდიტებს, მათ "ჰეროიკულ" ცხოვრებას; უკვე თავისი კერპებიც ჰყავდათ და კინემატოგრაფის გაჩენისთანავე მათი "ცოცხლად" ნახვა მოისურვეს. ეს მაშინვე გამოიყენეს კინოს მესვეურებმა, გადაიღეს უამრავი ვესთერნი და დასავლეთის ბანდიტები, მძარცველები და მკვლელები სიმართლისათვის მებრძოლი გმირების რანგში აიყვანეს, რითაც თავიდანვე მოუპოვეს მათ მაყურებლის სიმპათია. ამერიკელი კინოკრიტიკოსი ჰოლის ელპერთი წერდა: "ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენმა კინემატოგრაფმა უკვდავყო ჩვენი ქვეყნის ბევრი განგსტერი და დაივიწყა უფრო ღირსეული, ისტორიული პიროვნებები". მაყურებელს სურდა, ეკრანზე ენახა არაორდინარული, თუნდაც უარყოფითი პიროვნებანი, რადგან მათი ცხოვრება უფრო კინემატოგრაფიულია, თავგადასავლებით სავსე, ვიდრე დადებითი, გამოჩენილი, მაგრამ სხვა მხრივ ორდინარული პიროვნების ცხოვრება.

"ველურ" დასავლეთში ბანდიტებისა და მძარცველების სიცოცხლე ან სახრჩობელათი ან ძალადობრივი სიკვდილით მთავრდებოდა, მათი ცხოვრების ხანგრძლივობა იშვიათად თუ აღემატებოდა 30 წელს. ასე დამთავრდა ბილ დულინის, ჯონ უესლი ჰარდინის (მას 40 კაცი ჰყავდა მოკლული), ბილ ლონგლის (მის სათვალავში 30 კაცია), ბილი ქიდის (დაუდასტურებელი ცნობებით 21 კაცი), თომას ბლექ ჯეკ ქეტჩამისა და სხვათა დღეები. (ამ უკანასკნელის სიკვდილით დასჯა ყველაზე საზარელი აღმოჩნდა ველური დასავლეთის ისტორიაში – ჩამოხრჩობისას მას თავი მოსწყდა).

ბანკების მძარცველი, ამ საქმის უკანასკნელი მოჰიკანი ჰენრი სთარი, რომლის შესახებ ამბობენ, ჯესი ჯეიმსის შემდეგ ასეთი ბანდიტი არ ყოფილაო ("ველური" დასავლეთის ისტორიაში იგი ერთადერთია, რომელმაც ერთ ქალაქში, ერთსა და იმავე დღეს ორი ბანკი გაძარცვა. სხვათაშორის, მისი ბიძაშვილის მეუღლე სახელგანთქმული ქალბატონი, ბანდიტი და მეძავი ბელ სთარი გახლდათ), 1915 წელს ქალაქ სთრაუდში ბანკის ძარცვის დროს დაჭრეს და ციხეში ჩასვეს, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ამნისტიით გაათავისუფლეს. "კინოში უფრო მეტი ფულია, ვიდრე ბანკში" - დაარიგა სთარი ერთმა პროკურორმა. მართლაც, მან საკუთარი თავი განასახიერა ერთ ვესთერნში, სადაც მოთხრობილია სთრაუდის ბანკის ძარცვის ამბავი. იმ ადამიანის როლზე, ვინც სთარი დაჭრა, იგივე რეალური პიროვნება აიყვანეს. ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად და სთარს სხვა პროექტებიც შესთავაზეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, "ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო" და ბანდიტი ისევ ძველ პროფესიას დაუბრუნდა. თავისი უკანასკნელი ბანკის ძარცვის დროს, 1921 წელს, ჰენრი სთარი თვით ბანკის მმართველმა მოკლა.

ასევე იყო ცნობილი დოლთონების ბანდა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას თავისი თავხედური თავდასხმებითა და ძარცვა-ყაჩაღობით. 1892 წლის 5 ოქტომბერს დოლთონების ბანდა ცდილობდა, გაეძარცვა ზედიზედ ორი ბანკი ქალაქ ქოფივილში, მაგრამ მათ იქ ჩასაფრებული შერიფი და განრისხებული მოქალაქეები დახვდნენ. სისხლისმღვრელ შეტაკებაში შერიფი და სამი მოქალაქე დაიღუპა, ბანდიდან კი სამი ძმა და ერთი თანამოსაქმე მოკლეს. ცოცხლად გადარჩენილ ემეთ დოლთონს 14 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან კინოში დაიწყო მოღვაწეობა. 1907 წელს იგი ისევ დაბრუნდა ქოფივილში, ოღონდ ამჯერად კონსულტანტის როლში, რადგან იქ იღებდნენ ფილმს დოლთონების ბანდის თავდასხმის შესახებ. თვით დოლთონსაც ხშირად იღებდნენ ვესთერნებში. იგი აგრძელებდა მუშაობას კონსულტანტად ჰოლივუდში, მას აგრეთვე რამოდენიმე წიგნი და სტატია ეკუთვნის, სადაც იგი გმობს დანაშაულს და დამნაშავეებს. ემეთ დოლთონი გარდაიცვალა 1937 წელს.

ამ "ბანდიტური" ვესთერნის ერთ-ერთი ყველაზე ღირშესანიშნავი ნიმუშია მაყურებლისათვის კარგად ცნობილი "ბუჩ ქესიდი და სანდენს ქიდი" (1969წ. რეჟისორი ჯორჯ როი ჰილი). ეს კოხტად, ერთი სულის ამოთქმით გაკეთებული ვესთერნი ბანკების მძარცველ ორ განუყრელ მეგობარზე (პოლ ნიმუენი და რობერტ რედფორდი), რომლებიც იუმორის გრძნობას არ კარგავენ მაშინაც, როცა განწირულნი არიან, დაფუძნებულია რეალურ ამბებზე. ბუჩ ქესიდის ნამდვილი სახელი და გვარია რობერტ ლეროი პარკერი. იგი დაიბადა იუტაში 1866 წელს. ბავშვობა მშობლების რანჩოზე გაატარა. ახალგაზრდა პარკერი დაუახლოვდა ცხენების ქურდს მაიქ ქესიდის, მიატოვა სახლი, თვითონაც გახდა ქურდი და თავისი "მასწავლებლის" გვარი აიღო.

ცოტა ხანში მან თავის თანამოაზრეებთან, რომელთა შორის ჰარი ლონგბაუ ანუ იგივე სანდენს ქიდი იყო, ჩამოაყალიბა ჯგუფი, სახელად "ველური ბანდა" (მათი თავგადასავალი დაედო საფუძვლად რეჟისორ სემ პექინპას შედევრს "ველური ბანდა"). ისინი ძარცვავდნენ მატარებლებს, მაგრამ უახლესმა ტექნიკამ - ტელეფონმა და ტე-



მარცხნიდან პირველი - სანდენს ქიდი. მარჯვნიდან პირველი - ბუჩ ქესიდი ბანდის წევრებთან ერთად.



კადრი ფილმიდან "ბუჩ ქესიდი და სანდენს ქიდი"



"შორი გზის მხედრები" უცხენოდ.



კადრი ფილმიდან "შორი გზის მხედრები". მსახიობი ძმები ბანდიტი ძმების როლში.

ლეგრაფმა, აგრეთვე პინკერტონის აგენტებმა, რომელთაც "ველური ბანდის" რამოდენიმე წევრი გამოასალმეს სიცოცხლეს, აიძულეს ბანდა, დაშლილიყო და 1901 წელს ქესიდი და ქიდი, ამ უკანასკნელის საყვარელთან ეთა ფლეისთან ერთად, ამერიკიდან გაიქცნენ. 1906 წელს ეთა ავადმყოფობის გამო სანდესთან ერთად ამერიკაში დაბრუნდა, თუმცა, მალე სანდენსი თავის მეგობარს ისევ შეუერთდა. სხვადასხვა ცნობებით 1911 წელს ბოლივიაში, რამდენიმე ბანკის გაძარცვის შემდეგ ისინი მოკლეს ბოლივიელმა ჯარისაკაცებმა. ფილმში ეს მშვენივრად დადგმული სცენა მთავრდება ეფექტური სტოპ-კადრით, სადაც ბუჩ ქესიდი და სანდენს ქიდი დაჭრილები, რევოლვერებით ხელში გაყინულან, ისმის ბრძანება "ცეცხლი" და ისინი ნელ-ნელა სიბნელეში გადიან. მაგრამ ბუჩის და, რომელსაც რედფორდი ესაუბრა, ამტკიცებდა, რომ ისინი გაექცნენ ბოლივიელებს და დაბრუნდნენ ამერიკაში. ბუჩმა გამოიცვალა გვარი, გახდა ფილიპსი და გარდაიცვალა 1937 წელს. სანდენსმაც გადაიკეთა გვარი, დაქორწინდა ეთაზე და გარდაიცვალა 1957 წელს. 1992 წელს ერთი ბოლივიური სოფლის სასაფლაოდან, სადაც 1911-ში თითქოსდა მოკლეს ქესიდი და ქიდი, ამოთხარეს "გრინგო" ბანდიტების ძვლები და გადააგზავნეს ამერიკაში, ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ძვლები ბუჩ ქესიდისა და სანდენს ქიდს არ ეკუთვნოდათ...

1980 წელს ეკრანებზე გამოვიდა უოლთერ ჰილის ბრწყინვალე ვესთერნი "შორი გზის მხედრები", ეს ტერმინი აღნიშნავს იმ მძარცველებს, რომლებიც კანონის დამცველებს რომ გაქცეოდნენ, სხვადასხვა ადგილას წინასწარ დამალულ, დასვენებულ ცხენებს იყენებდნენ. ფილმში აღწერილია ამბავი ჯეიმსების, იანგერების და მილერების ბანდისა, რომლებიც მოქმედებდა სამოქალაქო ომის შემდეგ 1866-76 წლებში და თავზარს სცემდა ბანკებსა და რკინიგზას. ჯეიმსების ბანდა იყო პირველი, რომელმაც ომის შემდეგ, მშვიდობიანობის პერიოდში, გაძარცვა ბანკი. თითქმის ათი წლის განმავლობაში მათ დააყაჩაღეს 11 ბანკი, 7 მატარებელი, უამრავი დილიჟანსი და სალარო. მათმა ნადავლმა შეადგინა დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი. ბანდის წევრებმა მოკლეს 21 ადამიანი, აქედან 9 თვით ჯესი ჯეიმსმა, ხოლო მისმა ძმამ ფრენქმა - ორი.

ჯეიმსები და იანგერები სამოქალაქო ომის დროს კონფედერანტების მხარეზე იბრძოდნენ. მათ ბოლომდე გაჰყვათ გამარჯვებული იანკების, ე.ი. ჩრდილოელების მიმართ სიძულვილი და თითქოს ამის გულისათვის, სამაგიეროს გადახდის მიზნით ძარცვავდნენ ფედერალური მთავრობის ბანკებსა და მატარებლებს, ისინი ერთგვარად მეამბოხეების როლში გამოდიოდნენ, ამის გამო სამხრეთის შტატებში (ისინი მისურიდან იყვნენ) ბევრი დამცველი გამოუჩნდათ, თუმცა არ არსებობს არც ერთი დადასტურებული ცნობა იმის შესახებ, რომ ჯეიმსების ბანდას თავისი ნადავლი ღარიბებისათვის გაენაწილებინა - ყველაფერი საკუთარი ჯიბისათვის კეთდებოდა. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ ნამდვილი მიზეზი მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისა იყო ერთი შემთხვევა, რომლის დროსაც პინკერტონის აგენტებმა მის სახლს ალყა შემოარტყეს და შემთხვევით ჯეიმსების ნახევარძმა დაიღუპა, ხოლო დედას კი ხელის ამპუტაცია დასჭირდა. სინამდვილე კი ასეთია: ეს ინციდენტი მოხდა 1875 წელს, ჯეიმსებმა კი თავისი პირველი ბანკი 1866 წელს გაძარცვეს მისურის შტატში. აი, რას ამბობდა ფილმის რეჟისორი უოლთერ ჰილი: "...ჩემი აზრით, დრომ გააზვიადა მათი პიროვნებები, თავისი ყველა საუკეთესო თვისებებით ისინი მაინც მკვლელები არიან. მითებსა და ლეგენდებში ისინი ძარცვავდნენ ბანკებსა და მატარებლებს იმიტომ, რომ წააწყდნენ სერიოზულ უსამართლობას კანონის მხრიდან. სინამდვილეში კი ისინი ამას აკეთებდნენ საკუთარი სარგებლობისათვის. ისინი არასოდეს ყოფილან რობინ ჰუდები". მართლაც, პრესამ და შემდეგ კინემატოგრაფმა ისინი ნამდვილ გმირებად აქცია. არსებობს ერთი ასეთი ფაქტი: 1872 წელს ბანდამ სალარო გაძარცვა და მიიმალა. ერთმა ახალგაზრდა რეპორტიორმა საგაზეთო სტატიაში მათ გმირები უწოდა. მეორე დღესვე ძმები ჯეიმსები ეწვივნენ მას და საჩუქრად ოქროს საათი მიართვეს, მაგრამ რეპორტიორმა უარი განუცხადა - საათი მოპარული იქნებაო, მაშინ ჯეიმსებმა ჰკითხეს: "იქნებ გყავს ვინმე მოსაკლავი? გვითხარი მისი სახელი!" ჟურნალისტმა ამაზეც უარი უთხრა.

თავისი უკანასკნელი ბანკის ძარცვის დროს ქალაქ ნორთფილდში 1876 წლის 7 სექტემბერს, ჩასაფრებული პინკერტონის აგენტები და მოქალაქეები ნახევარ ბანდას გაწყვეტენ, ძმები ჯეიმსები სასწაულით გადაურჩებიან სიკვდილს, მიატოვებენ დაჭრილ ამხანაგებს და გაიქცევიან. 1882 წელს ჯესი ჯეიმსს საკუთარ სახლში მოკლავს ბანდის ძველი წევრი ბობ ფორდი.

დაახლოებით 1903 წელს, სასჯელის მოხდის შემდეგ, ფრენკ ჯეიმსმა და ქოულ იანგერმა (როდესაც იანგერი 1916 წელს გარდაიცვალა, მის სხეულში აღმოაჩინეს 17 ტყვია, იგი დაჭრილი იყო 26-ჯერ; ეს, ალბათ, თავისებური რეკორდია) შექმნეს საცირკო სანახაობა, რომელიც თუმცა სულ მალე გაკოტრდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ამ შოუში მონაწილეობას იღებდნენ გურული მოჯირითეები.

ფილმის რეჟისორს თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ ბანდის ყველა წევრი, რეალური ძმები, მსახიობ ძმებს ეთამაშათ. ასეც მოხდა: ძმებ ჯეიმსებს თამაშობენ სთეისი და ჯეიმს ქიჩები, იანგერებს - დეივიდ, ქით და რობერტ ქერედინები, მილერებს - დენის და რენდი ქვეიდები, ფორდებს - ნიკ და ქრისტოფერ გესთები.

"ჯესი ჯეიმსი იყო ჯარისკაცი - ამბობდა ჯესი ჯეიმსის როლის შემსრულებელი ჯეიმს ქიჩი, რომელმაც გამოიარა სამოქალაქო ომი, მაგრამ ომი მისთვის არ დამთავრებულა. ის წააგავს დღევანდელ ვიეტნამელ ვეტერანს, რომელიც ჯერ კიდევ აზრზე ვერ მოსულა, გაოგნებულია..."

ვესთერნის ფრანგი მკვლევარი ვაგნერი წერდა: "თუ დავაკვირდებით ყველაზე ცნობილ სახეებს - ბილი ბონისა (იგივე ბილი ქიდია, მისი ამბავი მოთხრობილია მაყურებლისათვის კარგად ცნობილ ვესთერნში "ახალგაზრდა მსროლელები"- ი.მ) და ძმებ ჯეიმსებს, გამოირკვევა, რომ ისინი სინამდვილეში არანორმალურები იყვნენ. მათთან შედარებით, ყველაზე ველური ჩიკაგოელი განგსტერი კულტურულ და წყნარ ადამიანად მოგეჩვენებათ". წერილს კი ცნობილი კინომსახიობის, გერი კუპერის სიტყვებით დავასრულებ: "ველური დასავლეთი სინამდვილეში დაპყრობილი და ათვისებული იყო პიონერების მამაცობითა და ჭკუით, ადამიანები რევოლვერებით კი, იყვნენ პარაზიტები".

კალეიდოსკოპი

## დიზაინერი ახალ ამპლუაში

ვერა ვანგი საქორწინო კაბების კერვით აღარ კმაყოფილდება და ახლა სურს, საქორწინო საჩუქრებიც აწარმოოს. ნიუ იორკელი დიზაინერი თავის ახალ პროექტს კომპანია "სირატექ ქორფორეიშენ"-თან ერთად განახორციელებს. სწორედ მისი საშუალებით იხილავს დღის შუქს ვანგის ვერცხლეულისა და საჩუქრების კოლექცია, რომელშიც შევა მაღალი ხარისხის ვერცხლის, მოვერცხლილი და უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული საოჯახო ნივთები. პარალელურად, დიზაინერი აწარმოებს საკუთარ ძვირფას სამკაულსაც, რომელთაც, ძირითადად, ბრილიანტისგან ამზადებს. ვანგის ვერცხლეული კი გასაყიდად მომავალ გაზაფხულზე გამოვა.

## რა სარგებლობა მოაქვს D&G-ს

ვიქტორია ბექჰემი გახარებულია – ის დარწმუნებულია, რომ დოლჩე და გაბანას ახალ კოლექციებში მისი ზომის ტანსაცმელი ყოველთვის მოიძებნება. "სტუდიისთვის სპეციალურად გავაკეთებინეთ ვიქტორიას ტანის მანეკენი, რათა პოპ-ვარსკვლავს კაბა ყოველთვის ხელთათმანივით ზუსტად მოერგოს", - აცხადებს იტალიელი წყვილის პრესაგენტი.

ასეთი განსაკუთრებული პატივი დევიდ ბექჰემის მეუღლეს იმიტომ ხვდა წილად, რომ ის D&G-ს არაოფიციალური სახე გახლავთ. მართალია, არ არსებობს არავითარი კონტრაქტი, მაგრამ ვიქტორია დომენიკოს და სტეფანოს საუკეთესო მეგობარია და შესაბამისად, მრავალი პრივილეგიითაც სარგებლობს. მას D&G-ს ყოველ ჩვენებაზე უგზავნიან ორ ბილეთს წინა რიგში და სთავაზობენ 40-პროცენტიან ფასდაკლებას ნებისმიერ კაბაზე. დოლჩე-გაბანა და ვიქტორია ისე მეგობრობენ, რომ ახლახან ნიუ იორკის "მეტროპოლიტენ მუზეუმში" გამართულ საღამოზე ერთად გამოცხადდნენ კიდეც. თუმცა, დიზაინერები არა მხოლოდ გასცემენ. ვიქტორიასთან მეგობრობის საპასუხოდ ისინი არნახულ პოპულარობას იღებენ. როგორც მათი წარმომადგენელი აცხადებს, ხსენებულ საღამოზე დიზაინერებისთვის სწორედ რომ მისწრება იყო ვიქტორია ბექჰემთან ერთად გამოცხადება: "როდესაც შენი კაბა პოპ-ვარსკვლავს აცვია და არა სუპერ-მოდელს, ეს სულ სხვაა. პოპ-ვარსკვლავი უფრო რეალური ფიგურაა და ტანსაცმელსაც მეტ ადამიანურობას ანიჭებს".

## კასინი კვლავ ფორმაშია

ცნობილი დიზაინერი ოლეგ კასინი, რომელმაც სახელი ჟაკლინ კენედის, გრეის კელისა და მერილინ მონროსთვის შეკერილი კაბებით გაითქვა, 90 წლისაა, თავს ძალიან კარგად გრძნობს და წიგნებსაც აქტიურად კითხულობს. მით უფრო თუ წიგნი პირადად მას ეხება. ახლახან მან რენდი ტარაბორელის გამოცემაში "იყო და არა იყო რა" რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა იპოვა და ხმამაღლა გააპროტესტა კიდეც. ტარაბორელი წერს, რომ კასინი "სასიამოვნო გარეგნობის, სიმპათიური რუსი ებრაელი იყო, თანაც არც თუ ისე ათლეტური". კასინიმ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ებრაელი ნამდვილად არ არის და თავს საკმაოდ ათლეტურადაც თვლის. წიგნის ავტორიც იძულებული გახდა, დიზაინერისთვის ბოდიში მოეხადა. ოლეგ კასინის, უძველესი გვარის წარმომადგენელსა და საოცრად დახვეწილი გემოვნების მქონე კაცს მოდის სამყარო 2 ივნისს ამერიკული მოდის დიზაინერების საბჭოს ცერემონიალზე დააჯილდოებს. მას საგანგებო პრიზს მოდაში გაწეული ღვაწლისთვის გადასცემენ.

დღეს ორშაბათს, 5 მაისს




1818 წელი: დაიბადა კომუნიზმის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კარლ მარქსი.

1961 წელი: ასტრონავტი ალან შეპარდი გახდა პირველი ამერიკელი, რომელიც კოსმოსში გაფრინდა.

1963 წელი: დენვერში, (კოლორადოს შტატი) ექიმმა ტომას სტარცლმა ჩაატარა ღვიძლის გადანერგვის პირველი ოპერაცია.

1980 წელი: ტერორისტების მიერ ექვსი დღის განმავლობაში დაკავებული ირანის საელჩო ლონდონში SAS-მა შტურმით აიღო.

2002 წელი: ჟაკ შირაკმა გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, ულტრა-მემარჯვენე ჟან-მარი ლე პენი კი დამარცხდა.

Picture: Popperfoto © GRAPHIC NEWS




## ვიტამინებით მდიდარი რძის ლუდი

სულ ახლახანს ჩინეთში დაიწყეს ლუდის წარმოება უახლესი ტექნოლოგიით, ნედლეულად ჩვეულებრივი ძროხის რძე გამოიყენება. რძის ლუდი სპირტის დაბალი შემცველობით, ბევრი ქაფით და ნახშირბადის ორმაგი მჟავის რაციონალური შემცველობით გამოირჩევა. ამასთან, ის ვიტამინებითაც მდიდარია. რძის ლუდის წარმოება ლუდის დამზადების ტექნოლოგიაში ახალი არ არის, ჩინეთი ახლა უკვე მესამე ქვეყანაა,



რომელმაც რძის ლუდის წარმოებას მიჰყო ხელი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის შემდეგ. მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ რძის ლუდს სამკურნალო თვისებები აქვს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევასა და დაღლილობასაც ხსნის. რძის ლუდის დამზადების პირველი ცდები ჩინეთში 2002 წლის ბოლოს დაიწყო, ახლა კი ეს წარმოება უკვე რეალობად იქცა.

### კროსვორდი




## სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობანი თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 7 აგვისტო.

MBA — მარკეტინგი / ფინანსები / IT; ელექტრონული კომერცია / HRM; პროექტის მენეჯმენტი
MSc — საინფორმაციო ტექნოლოგიები; კომპიუტერული სისტემის ინჟინერია; ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950 სანტრალიზმა 15.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიწვევა წარმომადგენელში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24



საოჯახო ლოტო

29 მარტიდან, შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოჯახო ლოტოს" გათამაშება.

ფირმა "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას.

დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების ცხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"



## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.